პაპუნა ქვარიანი: ნაკვერჩხლის პიწკინი

გამომცემლობა „ივერიონი“. 2017. გვ.160

წიგნში შესულია ავტორის წინა გამოცემებიდან ამოკრეფილი მომცრო რობაიები, რომელთა უმრავლესობა ცხოვრებისეული აფორიზმული სიბრძნის განსახიერებაა. მკითხველის თვალწინ გადაშლილი ფიანდაზები დიდ ზეგავლენას ახდენს ყოფიერების შეცნობის თვალსაზრისით, რამეთუ ზოგადსაკაცობრიო საკითხების პოეტური აღქმა ავტორის ლაიტმოტივია.

რედაქტორი: ეკატერინე ციცქიშვილი

ტექნიკური

რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი

@ივერიონი

@პაპუნა ქვარიანი

ISBN-978-9941-27-424-4

ნაკვერჩხლის პიწკინი

1 არ ამართლებს
გულის გახსნა,
წრფელ არაკებს
ბოღმა ფარცხავს!

2 როცა ფიცი
განიქარწყლა,
განსჯა ფიცხი
ვნებას ღადრავს!

3 ფრთხილად ავყევი მინგრეულ კიბეს,
გუმბათზე ნანატრ ზარს ვახმიანებ,
სულის ზეობა სწვდება ცის კიდეს,
ტაძარი უხმობს ადამიანებს!

4 განწყობა ჩაშხამა ჭინკების
მაცდურმა გალობამ,
ლაბირინთს ყირაზე მივყვები
სულიერ საწრთობად!

5 არ არის ხ უმრობა,
ვეშევალამაზებ რც -
დუშმანის სტუმრობა
ჯეჯილობს შარაზე!

6 განგაშის ზარია,
თუ მტერი კალოს ლეწს?! -
წმინდაო მარიამ,
მოგვხედე, დაგვმოძღვრე!

7 გაწბილებულ
სიყვარულის იდილიას
გვიან - გულით
მისტირიან!

8 სისხამზე გათოშილ კარავში
ილოცა ყარიბმა,
სიტყვების ზერელედ თამაში
აფუვდა ტარიგად!

9 ნუთუ, იმდენად
დავკნინდით -
შუბლზე მიგვეწნა
ფარსიზმი!

10 გულზვიადობის
ტყვეობა,
არ გაიწრთობის
ქველობად!

11 თუ არ ღირს გმობა
განსაზღვრად,
უხერხულობა
აზრს კარგავს!

12 მზერა როცა
გამჭოლია,
ეჭვი ბოჭავს
სანდომიანს!

13 ნამეწყრი ტრამალი ტორტმანებს,
ჩამუქდა ცის კიდე,
მწყალობელ აისის მოსვლამდე
ძალუმად ვიფხიზლებ!

14 პირფერობა თუ
იალებს,
ჩაკენწლავს ნაცდუნ
იარებს!

15 თუ არ მიხედე
თავისუფლებას,
ფიქრში სიბეცე
ჩაგიგუბდება!

16 თავს უბირად
აღარ ჩავთვლი,
სულს თუ წკიპავს
ათინათი!

17 ტრადიციის
ერთგულება,
ამბიციას
ეფუძნება!

18 მოკვდავმა მაცდურ სარკაზმს
შინაგანობით სძლია...
ბერები ნარცენ ნამჯას
საგულდაგულოდ სცრიან!

19 დღენიადაგ
გარეშეთა მოიმედე -
ოფლს ანთხევდა
ოინებზე!

20 არ უნდარაც
მიმომწუხრდე,
ნუ შეზღუდავ
სულის უჯრედს!

21 თუ მოვლენებს
გაუსწარი,
გაამზევრებ
ბნელს უსტარით!

22 უნებლიე
უტაქტობა,
შობს სულიერ
უხამსობას!

23 მელაძუა ფარსი,
რომ ჩახოხდა არსში -
ერთგულებას აწვიმს
გაწბილების ნავსი!

24 რადგან ვერ ავხსენი სიზმარი
თვალს ვხუჭავ ცრემლიანს,
თუხთუხით ჩაუყვა კოშმარი
ჩასეტყვილ ლელიანს!

25 შესისხლორცების წამი
როს აკიაფდა დარად,
ცრემლმორეული თვალი
სიწრფელეს ვეღარ მალავს!

26 როცა ანათებს
დუმილის სიბრძნე -
ვნების სანახებს
ასხივებს მზისებრ!

27 რომ შევეჭიდო სრულად
შემთხვევითობის განსჯას,
უმეტეს წილად ურვას
დაუხარისხებ საგზალს!

28 განწყობა თუ მოძღვრავს
საცდურის შეგრძნებას,
სიკეთის არცნობას
ღიოფი ემნელა!

29 თუ ჩამოხსნი
უკუნს ჩადრებს,
ღვთის სამწყსოში
იჩირაღდნებ!

30 თუკი დროზე
აღძრავ ვნებას,
ვარსკვლავს მოსწყვეტ
სათნოებას!

31 უნიათო პირფერას
როს მოყვასის არ სჯერა,
გული ბოღმით იჯერა,
განერიდა თბილ კერას!

32 როცა ბარტყი
ბუდეს მოსწყდა,
უწინამძღვრებს
უფლის ლოცვა!

33 ფარატინა
სიძულვილს -
მიეყინა
გულ - ღვიძლი!

34 უსაფუძვლო
დაგმობა,
სუნთქვას უხშობს
საღ გრძნობას!

35 მისაგნისებ
ნიღბებს მიღმა,
სისასტიკე
ამობრწყინდა!

36 გასაწირი
სინამდვილე -
სიმწრის ქვითინს
ისაგზირებს!

37 თავისუფლების
შეგრძნებამ,
სცნო ერთგულების
ხელწერა!

38 ტრამალზე ტაიჭი ხვიხვინებს,
ავხსენი აღვირი,
აბურძგლა სათქმელის სიმძიმემ
ხაფანგის სამხილი!

39 ძალაუფლების
ბერკეტი -
დასაყრდენია
ჩერჩეტის!

40 ო, ქალის
გუმანი -
თრთის ვითარც
ცუნამი!

41 ბრჭყალებს მიჩქმალავს
მაშინ ცდუნება,
როცა ის ვარამს
ესალბუნება!

42 მაშინ განავრცობ
სულიერ დაგვას,
თუ ღვთიურ საგრძნობს
სინცვიფრე ახლავს!

43 პირუკუ ვზომავთ
კაცურ სიმაღლეს,
უვიცი შმორავს
ნატიფ სილაღეს!

44 ბუქი ქიმს ურხევს
დაცლილ მინარეთს,
ვაწრთობ იმ მუხტებს
სულს რო მინათებს!

45 სიბრძნე თუკი მარადი
აღტკინების კვერთხია,
დახვეწილი ქარაგმით
პოეზია ღმერთია!

46 თუ ახერხებს ბჭობა
შემეცნების ქარგვას,
ფარშივობის გმობა
გულში ღადარს აღძრავს!

47 იბღავლა ნახირმა,
მომრავლდა ქარიზმა,
ქვეყანა წაირყვნა,
სადღაა კაი ყმა!

48 ლაბირინთს მწველად აშუქებს
ფრესკების ხატება,
მომავლის განსწავლულ აშუღებს
ურვა არ ასცდებათ!

49 ბოროტება ცხოვრების
უმსუქნესი მატლია,
მოცუნდრუკე მომხვეჭნი
თავს ჭაობში ჩახრიან!

50 ზომიერების განსაზღვრა
თუ არ გაიწევს ცალსახად,
უხერხულობას განკარგავს
საყოველთაო ფასადად!

51 თუ რამ იქმნება
წილხვედრი უფლის,
გაიჟღენთება
სარდაფის სუსხით!

52 ო, რარიგ შესაბრალია
უძლეველობის მნდომი,
კედელზე მცოცავ კალიას
ობობა თვალით წონის!

53 მოწყვეტილ სხეულს
ვერ მიიბამს
ბებერი გველი -
რადგან ჩრჩილი ხრავს!

54 ნაწთობ მრწამსის
სისადავე,
ცოდვას გულში
ისამარებს!

55 განცდების ჯერის სიკასკასეს
ავეფიცხები,
ჭეშმარიტებავ, მოამრავლე
მადლი ღირსების!

56 როს სიყვარულს
უგანებ,
ეტმასნები
მუტანტებს!

57 მადლიერების
შეგრძნება,
აცნობიერებს
შეძლებას!

58 როს ნაბიჯების
პეწი გვარგია -
ალღო განზომილების
თარგია!

59 როს სული, მთრთოლავ
ზეობას აღძრავს,
საგნების ფორმა
არ მიღირს არად!

60 არ ვეკედლები არავის,
არცა მაქვს ვალი ვინმესი,
ავან - ჩავანი ჩვევანი
გამვლელს ნუგბარად მივეცი!

61 შიშმა სიჩუმე დაასადგურა,
ტკივილს ვიყუჩებ კვლავ ვაგლახურად,
ვერ ვასაყდრისე სიტყვა ტარიგად,
სულს სატკივარი გაუღარიბდა!

62 დიდი ტკივილის
სიმძიმის გამო,
განსხეულების
შეგრძნებას ვლამობ!

63 როს მონადირე
დაძრწის უგნურად,
მგელმა ტრამალი
მოიძუნძულა!

64 თუ ქველობა
აღწევს მიზანს,
მიწიერმა
ისაგზლისა!

65 მახვილი ხელში
რომ არ გვეჭირა,
ველარა ვერწყმით
მამულს ჯებირად!

66 გაზულუქებულ
სახეს დამცინავს,
წლების გუნდრუკი
ქერტლებს აცლიდა!

67 მოლაყლაყე სამზერეთის
თვალხილული,
გულღრძო ბრმებით
ავსებულა ცისქვეშეთი!

68 აზრთა თანხვედრამ
რომ ითავკვერა,
ქექავს ნაღვერდალს
აუგი მზერა!

69 სათუთუ კვირტი
ისე დამზრალა,
სურნელი მინდვრის
სუსხმა ჩაცვარა!

70 როს ხვაშიადი გრღნიდა,
კაცი რას აღარ სინჯავ,
სულიერების მიღმა
გზა ემრუდება იღბალს!

71 რაიც რომ ნაღდია
სიმტკიცის ხარკია,
თუ შრომა გწადია
ცხოვრება მადლია!

72 როს ვერ ვიყენებთ
შესაძლებლობას,
ავლენს სიბეცეს
უსარგებლობა!

73 მოუზომავი
ვნებათა ღელვა,
დუმილის სიბრძნეს
უღვივებს კერას!

74 როს სასოება მომძლავრდა,
ჭეშმარიტების
განსაზღვრამ -
სიმართლე განაზოგადა!

75 მარცხს და დიდებას
შორის სვლა გეზი,
შეისხივფრთება
სღვთიურ ტალკვესით!

76 ჭირვეულობს
შეუცნობი მრწამსი,
ვუხერხულობ
როს სიამე მაწვიმს!

77 გულღრძო სხეული
აოკა სულმა,
პარაკლისს იხდის
ნაგვემი ურვა!

78 უბირი როცა
სახედრებს მწყემსავს,
ცივ ტატნობს მოსწყდა
ცთომილთა კვნესა!

79 როს ბედისწერის ძალით
ჩაინაცრება შარა,
მისტერიების ჭავლი
ცისკრის საფირონს სჭვალავს!

80 ეროვნული ტრაგედია
კვარცხლბეკზე რო აგვეწია -
საჭე ვანდეთ
ვერცხლხვეტიას!

81 როს მოკვდავთა შეგნება
აფუჩეჩებს შემთხვევას,
სიყვარულის შეგრძნებას
შეფერხება ეძლევა!

82 როცა რო განსჯა მცდარია,
როს გარემოცვა მხდალია,
აუცუნდრუკდა გალიას
სიფრთხილის ნიშან - წყალია!

83 განსხეულებულ ვარამს
საკურთხეველზე ვაკმევ,
გასხვისებული ლეკვი
თათით ფხაჭნიდა სარკმელს!

84 თუ ისაწინდრა სიმტკიცემ,
თუ მრწამსს ზნეობად მივიჩნევთ -
პირადულობის განწირვა
სწვდება გონების სიმწიფეს!

85 ფუტკარი ლესავს ნექტარს,
დუმილი გუმანს კენწლავს,
თუ შენი სუნთქვა შემძრავს,
ვერ გავექცევი ჩემს თავს!

86 თუ ბოღმის სუსხი დასანთხევია,
თუ ჩაესვენა მზე სათნოების,
სიმართლე უქმი განაჩენია
საყოველთაო ამაოების!

87 აღმაფრენასთან
რომ ვერ ვრიგდები,
გმობამ შენასკვა
მწარე ფიქრები!

88 სურნელის სილაღემ
როს შვებით იფრინა,
სიცოცხლეს მიხარებს
ჭიდილი სიკვდილთან!

89 როს ბეწვის ხიდზე
ფეხი დამიცდა,
კაეშანს მისხლეტს
შენი ქარიზმა!

90 განწყობის სიმძაფრე
აფუვდა ფიქრიდან,
დამფრთხალი სიხარბე
ჩაიტეხს იხტიბარს!

91 რა სჯობს უბადლო
იდუმალებას,
როს ურვა ჩრდილში
ჩაიფარცხება!

92 ლოცვების ექო
შვებას მანიჭებს,
შენდობას შევთხოვ
ღვთიურ კარიბჭეს!

93 ისე გახშირდა მარცხია
ვნებას ხაროში ჩაცლიან,
ბერმუხას გარსი გასცლია,
დრო მატერიის არსია!

94 ღირს, იმ განწყობის განსჯა -
როცა სინდისის ქენჯნა
სირცხვილს
ჩამოსწმენდს ლაქას!

95 როს განწყობას მსჭვალავს
მოთმინება იობის,
თანაგრძნობამ შთანთქა
განშორების ღიოფი!

96 თუ წარმოსახვა
იქცა დილემად,
ვნება ცდუნებას
შეეწირება!

97 გულში პეწად ჩამრჩენია
მონატრება წვიმის,
ცრემლის ლაქა დამჩნევია
ფირუსულას ღიმილს!

98 ფითოლცვენის
მისტერიას
სიბრალული
არ სჩვევია!

99 როცა სულის კვარი
სტრიქონს აგვირისტებს,
ჩემი საფიცარის
სუნთქვას ავიტკივებ!

100 უჩინარია
სულის ეთერი,
ზნე ჩამთბარია
ასამღერები!

101 თუ მეღირსება დროულად
ღვთის სასუფევლის დანახვა -
უკეთურობას ავლაგმავ,
ღვარძლს საწკვარამში ჩავნაყავ!

102 როს გაღივებას დაიწყებს
ჭეშმარიტების მარცვალი,
დაიზაფრება ავთვალი,
აციაგდება ცარგვალი!

103 ირგვლივ სიბეცის ნისლია,
აწმყოს ღირსება ჩრდილშია,
გზა ემრუდება იშვიათს
და მიზანსწრაფვა ჩიხშია!

104 სინდისი როცა ზეობდა
არ ავეტუზე ქველობას,
არ დავეხარბე სალაფავს,
დღევანდელობა დამმარხავს!

105 თვალი გამირბის ცისკენ,
დანიშნულების სივრცე -
არსში ჩაწვდომის მერე
აჩენს წყლულოვან კერებს!

106 მინდოდა რაღაც
გულღიად მეთქვა,
განწყობის განცდა
ჩაქარწყლა ნერწყვმა!

107 როს ვერხვებს სიო ვერ ძრავს,
როს გული ვარამს კენწლავს,
მარგალიტების ძებნას -
სჯობს ჩაეკონო ძეწნას!

108 საფქვავს მიაჩორიკებს
ხეიბარი ულაყი,
ტატნობიდან აწკნაპეს
სოფლის კალოს სურათი!

109 რადგან ვეღარ ვეღირსე
სულის გასათუთებას,
სასმისს ეშმა შემივსებს,
რისხვა დასაბუთდება!

110 შეეჭმუხნა შუბლი მაცნეს,
გულწრფელობას ისე ჩასცხეს,
ახალ სიტყვას, ახალ საქმეს
კაცი ძნელად წარმოაჩენს!

111 მოტარტალე სიშმაგით
აგულქვავდა სიფათი,
პოეტური ნიღაბი
ნიშნებაა ხიფათის!

112 გაუბრალოვდა
როცა იმედი,
არგანცდილ თრთოლვის
ხილვას ვიწვევდი!

113 იმ სამყაროში
მიწევს გადასვლა,
სადაც მითოსი
აწმყოს ჩაღადრავს!

114 როს მოქმედება
ვერ შევაფასე,
შმორი ედება
ვნების ნაფაზებს!

115 სურვილების
სიხალვათე,
მორალს გზნებით
იხატხატებს!

116 როს გაწბილდა საქებარი
რა აზრი აქვს დავას,
გადახნულზე ნარ - ეკალი
გაიხარებს კვლავაც!

117 ეჰ, თუ ჩამოცხა
სახეს კმაყოფილს,
გულწრფელ სალოცად
ძალა არ ყოფნის!

118 როს დაგუბდება ხინჯი
სასო თასმებს იჭრის,
მარცხმა ხშირად ფიცის
გაქარწყლება იცის!

119 სულისკვეთება როცა
ექომაგება ურვას,
მთვარეს მოუნდა ჰოპლა,
მზე სიფაქიზეს წურავს!

120 აატალახა კალო ავდარმა,
მიმოიქუფრა მიწა ქართული,
ცოდვილმა ცოდვა მხრებით ატარა,
სინდისი რჩება უტყვი მსაჯული!

121 როს აჩრდილების გნიასი,
სულებს საომრად იხმობს,
უზენაესი ფარდას ხსნის -
სცენას მიანდობს მითოსს!

122 როს ბნელს ეხლაფორთა
აზრი განდიდების,
ძირძველ ეშაფოტთან
ცკმუტავს კაპრიზები!

123 როცა ჭექა - ქუხილს
გაელვება ახლავს,
სანუგეშო მწუხრის
შეტოკდება ფარდა!

124 სამყარო მოსრა
როს აპათიამ,
უზნეო ყოფა
ღვარძლის ქაფია!

125 თუ მაცდური ბიძგი
იქცა განწყობის სისხამად,
აღტკინებული მიწყივ
აცნობიერებს მისაბაძს!

126 ვუსმენ მწირის ღაღადს,
მიმინოს ვერ ვგეშავ,
მიჟანგებულ ჩახმახს
გადაუვლის ჩექმა!

127 რაც რო თავად მეძალება
მიწვევს მძაფრავ შეძახებად,
ჩვენებური სიგიჟმაჟე
აამძორებს დამფრთხალ ქაჯებს!

128 სადღა ნახავ
ისეთ სითბოს,
სამხილი რო
მიმოშიფროს!

129 მხრებზე დამაწვა ისე
გადაუხდელი ვალი,
ვითარც ოყარო ფიქრებს
გეშავს გუმანი სვავის!

130 როცა ძირს უთხრის
სათნოს მუხთალი -
შეგუბდა სისხლი
ასაქუხარი!

131 ცივ სანაპიროს მიღმა
უხსენებელი სივის,
ბზარავს სარკმელზე ყინვას
გამოღვიძების სხივი!

132 კალო გატყევდა, ოხრავს ქაცვია,
მონადირემ რო ბარში გასწია
ეთამაშებს მგელი ბაჭიას,
მალე სინდისსაც ლაფში ჩასვრიან!

133 ფარისეველთა დასის
უკვდავს არ აკრთობს ტაში,
ღრუბელს მიენდო ქარში,
მზე ჩაქსოვია ხმაში!

134 დელგმამ მიმოსრა
საზღვრების ფარდა,
სასიყვარულო სინდრომის გარდა,
ნაჯახირები ქაოსში ჩადნა!

135 თვალს ენატრება
სიწმინდის ხილვა,
ყოფის ბრმა ეტლი
ასკდება მირაჟს!

136 ბაგემ მიკუპრა
ავმა ზმანებამ,
ჟამმა მიმწუხრა
ბრმა ნეტარება!

137 კოვზი ნაცარში
როცა ჩაეშვა,
ვამკობ ცახცახით
გრძნობის საესავს!

138 ჩამსაფრებია
ეშმა და შური,
სუნთქვის პეწია
ხის შარიშური!

139 როცა რო მძაფრავს
ღადარი შიშის,
ცდუნების ზღვართან
საწრთობი ვიშვი!

140 ერთურთს ვადარებ
შურს და ტყვეობას,
ცხარობს საკვამლე
ძალმომრეობა!

141 ო, ამ თავნებობამ
საით არ მიბიძგა,
თანხვედრი შენდობა
მომწიფდა სიმწრიდან!

142 რადგან სიყვარულს
ისევ ეძინა,
შენგან ნაწყენი
გული მემძიმა!

143 სტიქიური აღტკინება
აშკარად რო ჩაბჟირდება,
დაუნდობელი ცდუნება
სამყაროს ეჯაჯგურება!

144 ხოდაბუნი მოსრეს,
ბალაგანი იწვის,
გადაევლო ღობეს
გასახედნი კვიცი!

145 გავერანებულ
ბებერ ტყის პირას
ყარიბი მამულს
ხვაშიადს წირავს!

146 ღალატის ბუღი
აიჭრა თვალწინ,
ფრთა შეურუჯა
გულზვიად არწივს!

147 სიპირქუშემ
ჩამცხო ფარსად,
სიტყვას ვნატრობ
ვნების თასად!

148 შავბნელი ფიქრის
ანომალიას,
თილისმა ციმციმ
მიუჩქმალია!

149 ვერ ვიკიდებ
ფეხს რო ვერსად,
ჩემს სიმტკიცეს
ბოღმა გესლავს!

150 დამთხვეულის
გადამკიდემ,
მივურაზე
ენას კლიტე!

151 სიკვდილ - სიცოცხლის
როს ვგრძნობ წილისყრას,
სულმა განწყობა
ა ა თ ი ლ ი ს მ ა !

152 სამომავლო საზრუნავი,
რომ არ იწვნია არავინ -
ჩამოიბღილა კარავი,
მიმოიქსელა მარანი!

153 მაცდური თვალი
გულს რო მისერავს,
სულში ეკალი
ამოიწვერა!

154 მოეცელა მუხლი
არასაკმარ ტკივილს,
აღზნებული სუსტი
უღიმღამოდ ტირის!

155 კუშტად გაისმის
სამყაროს დრტვინვა,
გაჭირდა წინსვლის
გრაალის ხილვა!

156 ვერ ვამზეურებ შთაგონების
გამოსხივებას,
გახსნილ დილემას ჩეხება
გამოცდილება!

157 იშინაურა დილით თვალებმა
გოგმანი გნოლის,
ამ საუფლოში არ ჩანს ღვთაება
და გულის სწორი!

158 როს ჩაიხერგა
გზები წინარე,
თვალებში ძნელად
გამოიდარებს!

159 როს მიმინოს შევხსენ
ასანთლული თასმა,
აუთრთოლდა ფესვები
შეცბუნებულ ჯვარცმას!

160 გულგატეხილი
მივდევ დინებას,
გაკრთა ეროსის
გამობრწყინება!

161 როცა აწვება სულს
ზეარქაული ბუღი
ცინცხალ ოცნების ასულს
თავს მოწიწებით ვუხრი!

162 რადგან სიმარტოვე
სითბოს მივალიე,
ველარ ვიახლოვებ
გზათა მისალიერს!

163 თავს რო ვერ ვაღწევ
ამდენ ცდუნებას,
მარაოს არწევს
ღვთის რუდუნება!

164 აგვირისტა გრძნობამ
ყოფის სიავკარგე,
უნებლიე თრობა
ითავკერძა ბაგემ!

165 რადგან ვერ აჰყვა
ჭინკებთ მარულას,
ფრთა მოეღრიცა
დამფრთხალ ღამურას!

166 ისევ გამირბი,
შორიდან მზვერავ,
სიმწრის ყალიბი
დააცხვა კერას!

167 ვინც ერის ცრემლი
გაითავისა,
მომავლის ფესვი
აასაწმისა!

168 ჩაცხრა სურნელის სიმძაფრე,
სულმა ზეობა იტვირთა,
რაც რო სიცოცხლეს მიხარებს,
ის მაახლოებს სიკვდილთან!

169 უკუნის ღვითქი
სივრცეს ედება
და იქოთქოთეს
ეზოს მტრედებმა!

170 უნდა სახსარი
ვაციბრუტო ყვავილთ გარშემო -
მამა - პაპათა ნასახლარი
რომ დავაშენო!

171 როს უთქმელობამ
შეჭირვების შეიგრძნო ნიჭი,
გაკოტრებულმა სულგრძელობამ
ჩაქოლა იჭვი!

172 როს ათინათი
აკიაფდა შესისხლულ წყლიდან,
მაშინ სინათლის ხილაბანდი
უკუნეთს სცრიდა!

173 რარიგ ცამტვერობს
დაცხრილული აფრის აშვება,
როგორმე უნდა შეიფეროს
ჟანგი დაშნებმა!

174 როს გარემოცვა
ბოღმით ივსება,
სულის მიმოძღვრა
ისაკლისება!

175 იმგვარად ვვოხრავ,
გული მიკვდება,
აღმომხდა ლოცვა
ასამკვირცხლებლად!

176 თუ დამკვიდრდა
სამყოფელი შავი,
გასაწირს სჯობს
განწირული თავი!

177 არ აქვს სასრული
ბიბლიის სივრცეს,
მრავალწერტილი
დუელში მიწვევს!

178 მაცდური სულის
როს ვცდი მხილებას,
ეპოქა რთული
მეგზაწვრილება!

179 წუწკის ფანდებში
ისე გავები,
შემომაფრინდა
ეშმა ბრჭყალებით!

180 ანცი თამაშ - თამაშა
ქორფა წლები წავიდა,
გულმა მიაცალხაზა
სიყვარული საფიცრად!

181 ქართულ გენის საუფლოს
შავი აბრა ფრიალებს,
არ დავეცეთ, გავუძლოთ
 გასაჭირის გრიგალებს!

182 თუკი ნაკლთა გამო
ბჭობა გვეთაკილება,
როგორ გავამყაროთ
მიწყივ შეკავშირება!

183 მივანთხიე ბალღამი
მტრის შენიღბულ სანახებს,
ქიშპის მწუთხე განაჩენს
ორგულობა განაგებს!

184 ვისაც გულით მივენდეთ
გვიცრუებდა იმედებს,
ეროვნული სიბეცე
მტრის დუდუკზე იცეკვებს!

185 როს მივაგვირისტებ
სიახლის სიამეს,
მიწყივ სათილისმე
საკნაწავს მივაგნებ!

186 ეალერსა ყვავილებს
მოფარფატე ფრთაჭრელა,
სათნოების სანიშნედ
ვერ შევბედე დაჭერა!

187 ბედის ვასკვლავი
მხარზე რო გაზის,
მიმოკრიახობს
ცხოვრების აზრი!

188 რადგან ხავხავობს ჩომპე დაისი
აქოჩრილია სიტყვა ფრთიანი,
უნდა ვშთაბერო სუნთქვას ხალისი,
დავაიმედო ადამიანი!

189 თუ არ ვიღვიძეთ დროზე
და არ ვიმხნევეთ ყოფა -
ხოდაბუნების კორტებს
გადამთიელი მოხნავს!

190 ტანჯვის კრიახის
კრუნჩხვას ვეჩვევი,
ყოფის წიაღის
მოვრწყე ფესვები!

191 მრწამსი რადგან არ
გავიღარიბე,
ვეკურკურები
ცინცხალ ყვავილებს!

192 როს სიხალისე გაცვდა
ვეშინაურე სარკაზმს,
რაც ვიმკე სიმწრის ფასად -
იზრდება ერთი ასად!

193 ვით ზნეკეთილი ყოველი
ვარ უზნეობის მგმობელი,
არადა გული ოხერი
მოტრფიალეა მოლხენის!

194 აკრიახდა გლოვის ზარი,
დაკოდილი ბღავის ხარი,
ქანდარაზე შემომჯდარი
ზარნაშუა გულმაძღარი!

195 ღვთის ანარეკლი მეზმანებოდეს,
აზრი ღიოდეს, ერი ეროდეს,
ნების სურნელის პეწი ზეობდეს
და ერთგულება დაგვბედებოდეს!

196 იას ღაწვები ეცრემლა,
სიო ხელიდან ეცლება,
უანგარობის შეგრძნება
ეპოტინება შემლებას!

197 განვიმსჭვალები როცა
ზეშთაგონების მადლით,
სულის ანკარა ლოცვა
განთიადია აზრის!

198 როცა ძალა აღმართს ხნავსო
აცახცახებს დუნიას,
მომავალში ძვირად ფასობს -
რაც დღეს დაკარგულია!

199 მაშინ როცა კაენი
ხელუხლები დარჩება,
გაფარშივდა თავხედის
უბრად გასამართლება!

200 ცა რო შეივერცხლება,
გაწბილების შეგრძნებას
მუხტი თუკი ეძლევა -
სინანულსაც შესწვდება!

201 რადგან უფალო ვეროდეს
ვერ გაგიაზრებ ნათლად,
მაინც მინდა რომ მჯეროდეს,
რომ პირფერობა გაცვდა!

202 როს მიველტვით დაუკრეფავს
ვარამს კბილი აულესავს,
დროს განწყობა დაუგეშავს,
სითვალთმაქცე გაუხეშდა!

203 მიეტმასნა ჩხირი კედელს,
კაცმა წუწუნს უმატა,
გარეშეთა მოიმედეს
ხეირი ვის უნახავს!

204 როს უზნეობის
ფრთები იშლება,
სიყალბის მგმობის
მრწამსი წბილდება!

205 მგლის სიახლოვის სასჯელია
ანცი ბატკანი,
ძლივსღა ირწევა თვალცრემლიან
ობლის აკვანი!

206 აღზევებულ
პირთა ქება,
სუსტი გრძნობის
უჯრედს კვებავს!

207 სიტყვიერ განგაშს
როცა ვაპირებ,
დაღვრემილ მაშვრალს
მიმოვაფხიზლებ!

208 ვერ იხეირებს
სიმართლის ქომაგი,
რამეთუ გზირებს
აეწვათ სტომაქი!

209 როცა ლოდინის
ჭიამ იხარა,
ვხდები მორჩილი -
ვითარც წიქარა!

210 დასაძლევია
როცა სიძნელე,
პირჯვარი ხშირად
გადავიწერე!

211 კისერზე რო დაგვაწვა
სივერაგის ლახვარი,
მტერმა შოლტი გაგვაწნა,
სარკაზმული ხარხარით!

212 ეს ბეცი შიშები
ვერარას გვიშველის,
თუ არ გავირჯებით
მართლა დავისჯებით!

213 რა სახიფათოდ მოისარკა
წინსვლის ბილიკი,
გოლგოთის თხემზე გულს მიღადრავს
ეშმას ქილიკი!

214 გულით ნაგრძნობ
უთქმელობამ,
მოამწიფა როს ქველობა -
გვიწინამძღვრა ანგელოზმა!

215 ეს აღტკინება
იმ ოცნების ნაზი ფრთებია,
როს ნარგიზებმა
აუხილეს თვალი ლელიანს!

216 როს სამართალი პურს გახრავს
ცხვირს აიბზუებს კირთება,
ფასი აქვს კაცურ ღირსებას,
სამყარო შეიცისკრება!

217 ბებერ ჭიუხებს ავაშტერდი
მსუსხავ სისხამზე,
უნდა მივადგე გადარჩენილ
ციხე - სიმაგრეს!

218 ვერ ავერიდე ხარჯებს,
რას ვეაჯები გამჩენს,
ამაოდ ვთითხნი სარჩელს,
ტკივილს ტკივილი არჩენს!

219 გაინაბა მთვარე,
ლამპრის შუქი კრთება,
ისე შეგიყვარე
კალამს ვგეშავ ფრთებად!

220 როცა ნდობა
იქცა გმობად,
ჭირს მოყვასის
გამოცნობა!

221 ვარსკვლავი მოწყდა,
წუხს დიადემა,
მესვეტემ ლოცვა
მწუხრს მიაგება!

222 ქსელში გაბმულა
ფარფალა მწერი,
სხივთა მარულას
ღრუბელი წველის!

223 უხედარ კვიცით
ვიწყე ნავარდი,
განწყობა მიცდის
მხრებზე დავარდნის!

224 ლიუციფერი მეტადრე მძლავრობს,
გაჩანაგებულ ღირსების გამო,
ბნელი ძალების სიწუწკის ხარო -
დამარცხებულის ვაებით ხარობს!

225 ურვა უზალთუნს არ სცრიდა,
ცხოვრება მიწყივ გაჭირდა,
თავის გატანის საწინდრად
უკუღმართობა გახშირდა!

226 ლამაზ თავთუხებს
არ ასცდათ ცელი,
კირთებას უძლებს
ოცნება მწველი!

227 თუ საკუთრება
არ არს დაცული,
სულის მხნეობას
ძიძგნის ავსული!

228 რადგანაც ერმა ამდენი
იმარხულა და იძინა,
თვითმყოფადობის საყრდენი
სიმწრისგან ჩამოიწმინდა!

229 ხშირად უმეცარს
ისე უმართლებს,
მეფის გონებას
შარას უნათებს!

230 რაც უნდა მოხდეს,
ხორცი ჩამოდნეს,
სული ელტვოდეს
მხოლოდ სამოთხეს!

231 რადგან სიკეთეს
აღარ ვაფასებთ,
ვეტორღიალეთ
ცოდვილ ათასებს!

232 გაგრძელდა ისე
ცისკენ მანძილი,
მხედნის სიცრუის
გამოძახილი!

233 დახვეწილი ზნეობა
გაამყარებს მეობას,
ბედნიერების შეგრძნება
აღემატება შეძლებას!

234 როცა რო აწმყოს
დაეგო მახე -
ცდუნება აწრთობს
მყოფადის სახეს!

235 გაუბრალოვდა თვისება
წესების ასათვისებლად,
უტიფრო დამღა ედება
მიზნობრივ ასაცისკრებას!

236 როს ჩაესვენა
სევდის მაშხალა,
ამოიწვერა
მთვარე ნამგალა!

237 როს ამაყად ვებრძოლე
გამეფებულ სიძულვილს,
შუბლი ეწვით დემონებს
რიტუალის სირთულით!

238 ყბა მოეღრიცა
ახალ თაობას,
სამსჯავრო იქცა
არარაობად!

239 ცდუნებამ ოინი მიყო -
მწუხრი ვერ სახა ბათილად,
ჩანასახშივე გავსრისოთ
უიმედობის ბაცილა!

240 ისე გამსხეპა
ღრუბელთ კლანჭებმა,
სინდისის ქენჯნა
ამიჯანყდება!

241 ვნების თასის შესმა
ახალისებს ეშმას,
ვერ დამჯაბნის კვნესა -
ჯიგარი თუ ფეთქავს?!

242 უზენაესი არ ჩქარობს
სრულყოფილებას კაცთა,
ადვილად ამად არ დარობს,
ქმედება მიზანს ასცდა!

243 იპყრობს სახადი
ადამის მოდგმას,
ვებრძვი ნაჯღაბნით
მეორედ მოსვლას!

244 როს გზას მიიკვლევს ცალთვალა ნავსი
წაფორხილებულ მოკვდავის ფარსით,
გაუფასურდა საგანთა არსი
მიმოიქუფრა სამყაროს გარსი!

245 როს ქიშპის მახრა
გულს ჩამარხვია -
სიკეთის აღქმა
უჭირს ავყიას!

246 მიპყრობს დუმილი
სათნოების შესხეულებად,
განთიადისას
ჩავერთვები მზის წვეულებას!

247 იმგვარად ფარცხეს
უკუღმა ველი,
ზენაარ თანხვედრ
ხსნასაც არ ველი!

248 როცა სიმწრის ღიოფს ვსახავ
გაიძურწა ფლიდი,
გუბურა რო ვერსად ნახა
გედი ტბისკენ მიდის!

249 მოგონებები რჩება,
მიწყივ ბობოქრობს აზრი,
ამ საესავო გვემას
ბეჭედი უკვე აზის!

250 განშტოების ნახევია
გულს რო ბოღმა ახვევია,
სულს სამყაროს ბაქტერიას
არ ასვენებს ისტერია!

251 თუ შიშმა დაგვძლია
ბორკილი ჟღარუნებს,
თანდგომა მადლია,
დავჯაბნით საცდურებს!

252 როცა სიბრძნის ნაყოფი
საცნაურდება გვიან,
გუვნებელდა საგრძნობი
და თანაგრძნობას სჯიან!

253 შევაწონე სივრცეს თვალი,
ამიტოკდა გულზე ჯვარი,
სამოთხეში ჩიტი კრთება,
მასთან ყოფნა მენატრება!

254 როცა უკმეხად დამდევს
უკმარისობის ნავსი,
თანხვედრ ღირსების მსახველს
მცირე მანძილით ავცდი!

255 ამდენ სიბეცით,
ამდენ შტეროზით,
ვეჯაჯგურებით
სულის გენოციდს!

256 ნალი გაუცვდა სახედარს,
ძლივს ვაღიაფებ ნაღვერდალს,
ალალმართალ კაცს ამქვეყნად
ხშირად მოუწევს გაყვლეფა!

257 როს ემსგავსება
ყოფა ყაზარმას,
ძნელად ჩაცხრება
სროლის მაზანდა!

258 თუ არ ჩაიცრიცება
კაცთა ურთიერთობა,
ერთგულების შეგრძნება
საუფლისოდ იწრთობა!

259 ვერ ვეგუები
რადგან ვერავის,
ნიადაგ დამდევს
მზერა მზვერავის!

260 ფესვი კვებავს თავთავს,
არსი განსჯას ხლართავს,
ზენაარი გვმართავს,
ჯვარი ნების ჭახრაკს!

261 ვერ მივიჩნიე
ნაღდად იოლად,
ასე მშვიდად რო
ბარტყობს ჩიორა!

262 ჭეშმარიტ მიზანს
სიბრძნე რო მალავს,
კუდი აეწვა
უხიაგ ვარამს!

263 როს ვარდს სისხამზე
შიშხათ მესვრიან,
გულს გადავუხსნი
კეკლუც მზეწვიას!

264 საყოველთაო
ამაოებამ,
ზნე სათნოებად
ვერ აწშტოება!

265 წინაპართ გენი
რო ერწყმის მირაჟს,
ჩვილის თვალებში
ციაგებს დვრიტა!

266 რაც ნათქვამს მიღმა
უთქმელი რჩება -
უხმოდ გაჰკივის
იდუმალება!

267 ნაღვაწი და ნაჯაფარი
როცა ძნელად მოსჩანს,
მიმოფუთა საფიცარი
წუთისოფლის ხონჩამ!

268 როს ცისფერი ეკრანი
აწყობილი მახეა,
ამწვანებულ ზეგანში
ძაღლის თავი მარხია!

269 გამზეურება უჭირთ
შეფერხებას ან წინსვლას,
უჩინმაჩინის ქუდი
დროის მოთხოვნად იქცა!

270 მოვიხმარო თუგინდ ფანდი
სიტკბო ვადნო დარდიდან,
ამქვეყნიურ სიდიადის
პირტიტველა ბარტყი ვარ!

271 როს მოლოდინი
შედეგებს ასცდა,
მოვლენის მჩხიბავს
მიეზღო მკაცრად!

272 ორი მოსისხლე
როცა დაზავდა,
გუნდრუკს აკმევენ
სიმწრის ნაკრძალთან!

273 თუ მამულის სამსახური
მიზნადა გაქვს დასახული,
თავგანწირვის მოლოდინში
ნუ იქნები დაზაფრული!

274 საიდუმლოთა
იბარტყა ნუსხამ,
გულს ჯადოსნური
ჭინჭარი სუსხავს!

275 ისე გაშინაურდა
უიმედოდ დარჩენა,
საკეთებლის სიმძიმე
არ იძლევა არჩევანს!

276 რადგან ძალებს ივსებს
დიდი გაბრძოლება,
ღირდა ჩემი სისხლის
მელნად დატბორება!

277 რადგან აყოვნებს ჟამი
გოლგოთისაკენ წინსვლას,
მიუსაფარი ჯვარი
გადაკეთდება ისრად!

278 ჩაცხრა ღიოფი
უგულო სიტყვის,
უკმარისობის
სირენა წივის!

279 რატომღაც ბოლოს ვერ ვიწამებ
უებრო ბედის...
და მზამზარეულ მცდარ სიამეს
გავუნაწყენდი!

280 ჭირს საცდურისგან
თავის დაღწევა,
მოშინაურდა
კვნესა საშველად!

281 სარკაზმული ქირქილით
დასნეულდა თაობა,
დღეს ვინმეზე დაყრდნობა
გახდა იშვიათობა!

282 ჭალა მოვიარე,
ნისლი მოვიალე,
თვალებს დავემონე,
ჰოდა - ჩაგეკონე!

283 შორს გამიტაცა რადგან
ცნობიერების ტალღამ,
გაუცხოვებულ დაღლას
დაუდევრობა ახლავს!

284 დაუდგრომელი
ერის შვილი ვარ...
და გზას ძირძველი
ბინდით ვიჩრდილავ!

285 როს იმუხტება გონი
ცვალებადობის განსჯით,
შემთხვევითობას წონის
ჭეშმარიტების ძარღვი!

286 როს ნამეხარი
ბერმუხა იწვის,
შეერუჯება
ზარები ყინწვისს!

287 სულის ნაჟური
თუა საშური,
უწიწმატდება
სიკვდილს აჟური!

288 როცა ვიხსენებ
ყივჩაღის ყიჟინს,
ბრმა არჩევანის
შეგრძნება მიჭირს!

289 როცა სინდისი
მიმოგვამწუხრებს,
შუბლზე ვიჭირხნით
ვნების მარწუხებს!

290 გულჩათხრობილი დაძრწის
თავისუფლების მახრა,
უხერხულობა მაწვიმს
მიუღებლობის ზღვართან!

291 რადგან იშვიათ
სულებთან ვდაობ -
შური შიშია
მარცხისა გამო!

292 ისე გამაწან
უტყვი ზმანება,
სითბო ზვარაკად
მეწანწკარება!

293 ბახუსმა აკვანწა
ყიჟინი ცისკენ,
ბელზაბელ, სადა ხარ -
დუელში გიწვევ!

294 მომედო ალი
გახსნილ საკინძის,
დაგვის წკვარამის
წეწკვას განვიცდი!

295 ვერ ვაგვირისტე როს შემართება
გაუფასურდა თავის მართლება,
არადა აზრი რო მენანება,
თუ არ ვიხსენი განცდას აკვდება!

296 გადმოიღვარა
სითბო უშრეტი,
გაბადრულია
არსის უჯრედი!

297 ქვის და ნანგრევების
ექოს ამღერებით,
არსებობის წილად
კვამლი ასვეტილა!

298 როცა ვნებას თუთქავს
ლანდთა ანათემა,
მწუხრმა შენი სუნთქვა
თავზე დამათენა!

299 ეჰ, სიმარტოვე, ეს სიმშვიდის
იწილ - ბიწილო,
გული ავწონე, ეს სითრთოლე -
ვით ავიცილო!

300 როს შემოვდგები
სამსხვერპლოზე განაწამები,
დაიგუგუნებს სამრეკლოზე
ივერთ ზარები!

301 თუა მიჩვარული
შვების მდინარება,
მაშინ სიყვარული
ითხოვს მდუმარებას!

302 ვერ ვაგვირისტე
ეროსის მითი,
უკუსვლა იწვევს
სარკაზმულ ხითხითს!

303 ო, ამ ტკივილის სანუგეშოს
ჭირს შეგუება,
ტირის ტირიფი - უგუნებო
შესალბუნებად!

304 ნერწყვი ვაყოლე
ვნების ნაფასებს,
შენ დააბოლე
წარმოსახვაზე!

305 როცა მატყვევებს
თვალთა სიმკვირცხლე,
ღაწვებს საფერებს
მივეფინდილე!

306 ნუ დაიჩემებს ნურვინ,
რომ თავს სრულად განაგებს,
საეფექტო ჭურვი
უჯრედს უცვლის სანახებს!

307 ქარი იალქნებს
ძენძავს დაბდურით,
სულს აზიანებს
ბრმა ტაშ - ფანდური!

308 მარადისობა ჯაჭვის პერანგს იცვამს,
სული უსასრულ განედზე გავიდა,
ახვიდე დიდების მწვერვალზე ნიშნავს -
გადმოვარდე საკუთარი თავიდან!

309 იმდენად მთათხავს
ჭოტი დილიდან,
ვერ გამოვძვერი
ღამის ჩრდილიდან!

310 ასაცუნდრუკებ
ნაკვთებს შესცივდა,
ხე იშიფრება
არა მიწიდან - ფესვიდან!

311 გაუცხოებას
გზა რო ეძნელა,
გრძნობა ფარფატებს
ვითარც პეპელა!

312 ფარსის შემყურე
უხმოდ ვტირივარ,
გადავეპკურე
ნამად გვირილას!

313 გაიძარცვა მამული,
გავერანდა მიწა,
გველეშაპი ამ დროს
არხეინად იწვა!

314 დამამცირებ საქციელს
არ მივიჩნევ არარად,
გონჯი ფრთები ასწიეს
შეკრეს ურცხვი კამარა!

315 როცა მიზანი
ოცნებას ასცდა,
გვიან ვიცანი
მლიქვნელთა კასტა!

316 როს ვაკვნესე სალამური
სათნოება ჩამტკბარია,
ვნება შვებით გათანგული
უებარი წამალია!

317 რადგან მისტიურ სამყაროს
იდუმალება სჩვევია,
იქ გაბნეულნი ცდომილნი
ძნელადვე შეიმჩნევიან!

318 როცა აებურდა ქნარი
სიამაყის ქროლვას,
სულის აღზევების წამი
თვითმყოფადად მოვა!

319 თუ განვერიდეთ
პირღია ურჩხულს -
მით სამერმისეს
ვაღვივებთ გუნდრუკს!

320 როს საგრძნობლად კნინდება
ქართულ სიტყვის ღირსება,
უმეცართა ბანაკით
ამბიონი ივსება!

321 ვინც ჩაჰფენია
ყოფის სადავეს -
ზნე აღრენია
 სულის ჩახრამდე!

322 მივუგვირისტებ ხარკს
უფლის სიმშვიდის ძალას,
ვეპოტინები ხავსს,
რომ ავერიდო წკვარამს!

323 ნათლისღების
ბრწყინვალებას -
იესომ ფრთა
მიაგება!

324 როს მიგანა განგებამ
გაუხეშდა გაძლება,
ვინც სიმწარე მაგემა
დრომ ითრია სახედნად!

325 მიმოიმტვერა
ვნების ბოძალი,
გატრუნული ვარ
საწყის ცოდვამდი!

326 ვინც მოკეთე მეგონა -
საქმე საქმეზე რო მიდგა,
თანაგრძნობის მაგივრად
ორგანულად ვერ მიტანს!

327 როს მეხამუშა
ბულბულის სტვენა,
გარდუვალია
ნიღბების ცვენა!

328 გრძნობამ ფიქრი რო ჩახლართა,
სტრიქონმა აზრი გაკვანძა,
სულმა აკვესა ანდაზა,
იმატებს ბრძოლის მაზანდა!

329 საჭირბოროტო არსი
როს იჯეჯილებს ადვილად,
გაქსუებულთა ფარსი
ჭეშმარიტებამ ჩაცხრილა!

330 რადგან იდუმალებას
კრძალვით ვეპაექრები,
ბინდის განზომილებას
მოვუჩხრიკე ფესვები!

331 სურვილების ციაგით
დაიწინწკლა მირაჟი,
მივაყუდე ჯიხვის რქა,
ჩაგიხუტე თილისმად!

332 ვერ შევეწყვე იმ როლს როცა -
სევდის ბაღში მტირალი,
ღია ცის ქვეშ ისე ვხოხავ,
ვით საკანში ფირალი!

333 აღზნებული გოგმანი
ესადაგა ფარშევანგს,
შეგვეწიოს ლოცვანი
შეწბილების საშველად!

334 მრევლმა ზვრები რომ ვერ მოხნა
გვიძნელდება ბინდის ცოხნა,
არ ასვენებს ურვა მოკვდავს,
დაბნეული ხშირად სცოდავს!

335 სიყვარულის
ჰარმონია -
ერთგულების
გარმონია!

336 დაჩიავდა ოცნება,
ჩაცხრა გრძნობის ფეთება,
უთანაგრძნო მოწყენა
სწყალობს შემოქმედებას!

337 თეთრი გალავნის მიღმა
ერთ დროს ხოხობი იჯდა,
დღეს წითელქუდა ჩიტი
გაწბილებულებს ითვლის!

338 როს გალაქტიკას ეტბორება
ვარსკვლავთ ზღვაური,
მიმზიდველია შთაგონება
ვერ საცნაური!

339 როს ვითავისებ უთქმელობის
აზრის სიამეს,
დაღლილ შინაგან სიხალისეს
პატივს მივაგებ!

340 გულს ბოღმის სუსხი
როცა ატყვია,
მწუხარება სიბრძნის
დიდოსტატია!

341 ჩაჩოჩდა ბრძენი,
აღზევდა ბნელი,
სიმართლის მთქმელი
მოკვეთეს ბერი!

342 შენი ფაქიზი სული
ჩემს აურაში ირხევა,
უნდა აგენთოს გული
ნატიფ ასახდენ სიზმრებად!

343 აქ ვარ ჩამოდი
ღელის ნაპირზე,
აქ ხო სამოთხის
დუღს სინატიფე!

344 როს განგების მოციქული
ქედს ალალად მოხრის,
იქნებ ჩვენებრ მარტოსულებს
გაუღიმოს ორმხრივ!

345 თუ არ მოაკლდა ღვთიური მადლი
ოცნებით ნაკვებ ზეშთაგონებას,
დაიხვეწება როდესაც მრწამსი -
სული ხორცს აღარ დაემონება!

346 ვეძებ არსებობის გამართლებას,
არ ჩანს სიავკარგის საგანძური
ვებრძვი ყოველდღიურ დამარცხებას,
ელდის სიძლიერით დავძაბუნდი!

347 მინდა, რომ გონის წმინდა უჯრედი
გადაენერგოს ცოდვილ ათასებს...
და ასხლეტილი სიბრძნის შურდული
შეუვალ ციხის თაღებს გადასწვდეს!

348 რადგან ეს მაცდური მღელვარება
ისევ მომანატრებს სიმარტოვეს,
უცხო ანგელოზის შეყვარებას
ბარე წელიწადსაც მოვანდომებ!

349 როცა მხარი ეცვლება
ძალაუფლების შეგრძნებას -
მარცხს ძალადობის კვალი აჩნია,
მასებს ლახვარი ხელში ჩაჩრია!

350 ისე აძგერდა
გული ეული,
ტანჯვის საშველად
ვარ შერყეული!

351 ეამა მდელოს
წვიმა შხაპუნა,
კოდალამ ჩეროს
მიუკაკუნა!

352 როს დუმს ზრდასრული
ვერცხლში ჩასმული -
არ აწყაული
არის საცდური!

353 გულღრძოდ შეიმაშვნა
როცა სიალალე,
მიწყივ ჩალის ჩარას
მხარზე მიაბამენ!

354 შეება მოყმე
ქაოსის ქროლვას,
მოუნდა ოხრებს
ლაციცის ქოლვა!

355 როცა სულში სევდის
ფანტელები ბარდნის,
ჩაითქორა ნერწყვი
ჭიქა ღვინის მადლით!

356 მწარედ ეღიმება ტატნობს,
მთვარე მოირკალა ცივად,
შენი სილუეტი ამკობს
ჩემი სიმარტოვის დილას!

357 ვერ შევეწყვე უარყოფის
უსასტიკეს განცდას,
თუ საწუთრო უგულველმყოფს
ამჭვარტლდება ფაცხა!

358 სრულყოფა ნაღდად
არ გვეღირსება,
რადგან ნამგლები
ვსახეთ ისრებად!

359 როს კვირტი
აკვანში ირწევა,
აჩქარებს ჩიტი
ჯვრისწერას!

360 როცა იყეფებს
ეიფორია,
განცდის სიფეთე
სულის შმორია!

361 ისე დაზაფრა
უცხო ნაგაზმა,
შიში ცალხაზად
ჩაკლა ნაფაზმა!

362 მიუხშეს კარი
სივრცის საუნჯეს...
განგება არვის
სტოვებს დაუსჯელს!

363 თავთუხებს სიო
დალალს ვარცხნიდა,
ამბორის ტრიო
იშვა განტვირთვად!

364 მდელო აიქოჩრა ისე,
ნისლებს ქარაშოტი ახვეტს,
სულში მიმოგიწნი ტიტებს,
მიწყივ გულწრფელობის გწამდეს!

365 ოდესმე თუ გამართლდება
ესქატოლოგის აზრები,
ამაოდ გამოიცდება
ფინიში ცაში ასწრების!

366 რადგან კერპები
აღარ მასვენებს,
ცრემლს ვესესხები
ღრუბლის ნარჩენებს!

367 როცა მეფობს ძალადობის
უგვირგვინო რისხვა,
ბოროტების უარმყოფი
ჯაჭვის პერანგს იცვამს!

368 აღმოსავლეთის
ქარმა დაჰბერა,
კვლავ ყიამეთი
შეგვრჩა სახელად!

369 საოცნებოს და საჭირბოროტოს
რა გამოულევს ადამის მოდგმას,
წამხედურების ძალა ბობოქრობს,
იშვიათია საცდურის გმობა!

370 როცა განწყობა
საღერღელს უტევს,
ძნელად ეწყობა
ინტიმის ბუდე!

371 როს თავგანწირვის სანთლები
ასპეტაკებს ყოფის არსს,
სიკვდილის ღია თვალები
უკვდავება ყოფილა!

372 ო, ეს ტლუ ქაჯები
ღრუბლებს დარაჯობენ,
უფალს ვეაჯები
სულმნათ საგალობელს!

373 თუ სიკეთე ერწყმის
ერთგულების ტატნობს,
ხვაშიადის პეწი
მიწყივ უანგარობს!

374 ყოფიერების
ღვთიური განცდა,
უსაზღვროების
დილემას გასცდა!

375 რადგან ამ თახსირ დღევანდელობას
ვერ გავუსწორე თვალი ადვილად,
ეს მიწიერი უსაშველობა
დაუძლევლობის ფარგლებს გასცილდა!

376 უნდა ვეცადო
სულით ხორცამდე -
ავის ხელქვევით
რომ არ ვხოხავდე!

377 რადგანაც ხშირად
გაცრუვდა ნატვრა,
ამაოდ ვწირავთ
ბრძოლის ველს სარდალს!

378 როს ღრუბელს ჩაცსრის
ნიმფების დასი,
უხიაგ ნავსის
იღვრება თასი!

379 სიბოროტე მოზღვავდა,
ჩაიბჟუტა კერია,
უმეცრება მოკვდავთა
მოარული სენია!

380 ორღობის ფაცხას
ქეცი მოედო,
მოკვდავი ცასთან
მიეთ - მოეთობს!

381 თეთრ ბაირაღებს
როცა გაშლიან -
ვინ გაილაღებს,
ვისთვის ფარსია!

382 შორს ხარ... და აბა
როგორ მიშველი,
კოშმარებს ხაპავს
გული ფიცხელი!

383 ოი, რა ფიცხლად
დაძრწის მიქელა,
რაიც რო გვხიბლავს
იმან გვიყელა!

384 რადგან შთაგონებამ მწვერვალს მიაღწია
რადგან ვეუფლები ღვთიურ შემეცნებას,
რადგან სიყვარული სუნთქვად მიმაჩნია,
მრწამსი არასოდეს აღარ შემეცვლება!

385 ვის დავემდურო, რაიც ვერ შევძლო?!
საუბედუროდ მოკეთეს ვერ ვცნობ,
ვის ავეტუზო, ამ ყანწსაც ჩავცლი,
ეჰ, სავალალოდ სიყვარულს ავცდი!

386 საძებარია რადგან ამ ქვეყნად
თანაგრძნობის და თანდგომის მომხრე,
ზოგჯერ განწყობა ისე ანცდება
აუხირდება უხიაგ სოფელს!

387 რაც უფრო ღრმაა მეხსიერება
და წარმოსახვას განსჯის უნარი,
გამოცდილების ზესთაზეობა
რჩება მყარი და გაუხუნარი!

388 ნუღარ გვგონია, რომ შორს
წავალთ ვინმეს იმედით,
იესოს განვლილ ეშაფოტთან
უკვე მივედით!

389 გემოს ვერ ატანს
კაცი ხილიანს,
ოჯახი ეს ის ქარტეხილია -
პირადობა რო დასეტყვილია!

390 ყეფს სიძულვილი
ისე აშკარად,
განსჯის წყურვილის
მადა ჩამცხრალა!

391 ხვნეშის ერდოზე
ჟამი საძილე,
უფალო, დროზე
გამოგვაღვიძე!

392 რაც უფრო მხიბლავს
სიმრავლე ფერთა,
მიადვილდება
სიახლის ძერწვა!

393 თუ შესაშური
რამე წამომცდა,
მიმარადისებს
უფლის გამოცდა!

394 ძალას ვიკრებ, რომ გავუძლო
გაწბილების სატკივარს,
აღტკინების სასაუფლოდ
რეტდასხმული დავდივარ!

395 კვამლი მწველ ფერად
შეერწყა ღრუბელს,
მთვარე ვენერას
მარაოს უქნევს!

396 ვერ გადვიქეცი
რადგან მლიქვნელად,
კვნესის სიბეცის
შვების სიმღერა!

397 როს ათავთუხდა
ჟამი მუდრეგი,
ამაოდ ქუხდა
ჯანყის უჯრედი!

398 შენგან გაწბილებულ აღტკინებას
ჩემგან დაყვავება შვენის,
ჰოდა სასთუმალი გაბრწყინდება
სულში ჩამარხული ძღვენით!

399 წელზე ჩაეხვია
ბარდი იასამნის,
გულზე ამეხია
ტრფობა იალქანად!

400 რაც უფრო ახლოს
მივდივარ ღმერთთან,
ნაბიჯს თამამად
ვერა და ვერ ვდგამ!

401 წრფელი თვალთა კრთომით
სულის შენათებავ,
შენი თანადგომის
მადლი მენატრება!

402 როს ნათელყოფის
კერა ნელდება,
უანგარობის
ცვდება ხელწერა!

403 თუკი აღვიქვი დასაყრდენი
საგნების არსი,
იდუმალება წარმოსახვის
ფიალას დაცლის!

404 ვწუხვარ, - ვრწმუნდები,
რომ ეს ცხოვრება,
არის მუქთების
ახორხოცება!

405 ვერანაირად ვერ შეეწყო
ალტრუიზმს კაცი,
რადგან უპოვარს, მყარად მდგარი
საყრდენებს აცლის!

406 როცა გიმღერი
ალალ ქარტიას,
სხივი იმედის
თავს დამნათია!

407 როცა ხელს აძლევს ძალმომრეობას
განუკითხავი აყალ - მაყალი,
დაძლეულია მასის მხნეობა
გაყურსულია ზეცის თავანი!

408 ეჰ, ვინღა ვიხდით
უფლის ბეგარას,
ჩაუწყდა ნიხრი
ტანჯულ ქვეყანას!

409 არ მწამს წყალობა აღზევებულის,
აკვალიანებს გრძნობები ცოდვებს,
ხშირად ვყოფილვარ გაოგნებული,
მონად ქცეული კი არასოდეს!

410 როცა ატყვევებს ბრბოს გამიზნული
მოჩვენებითი წესრიგის ხიბლი-
არ დააყოვნებს ძილისპირული,
მისანი ახალ ცდომილებს ითვლი!

411 როს ჩანაფიქრის
ჩაცხრა გამხელა,
უღრანში მიქრის
ჩემი პანტერა!

412 სიმდაბლის კართან
არ ვიშლით ჯანჯალს,
უფალი ალბათ
ამიტომ გვტანჯავს!

413 რარიგ ფარფატებენ ნაზი ფანტელები
დამფრთხალ სიმარტოვის მიღმა...
ჰოდა სანუკვარი დილის გათენებით
ფრთები აშოლტია მიზანს!

414 როს აღზევდა ფარსადანი
მიიკნავლა საზანდარი...
არ დაეცე საქართველოვ,
მრწამსი უნდა ავართველიოთ !

415 ცოდვა განუსჯელი
სანამ იტრიალებს,
გაფრთხილების ქნარის
ბჟუტავს სიდიადე!

416 რადგან სიმართლე
ლაფში გასვრილა,
ჭანკად მიმჭვარტლებს
ჭრაქი გზაწვრილას!

417 ჩამიქნევია ხელი
უმადურობის გამო,
ბღილმა ჩაცხრილა ძველი
განზომილების თარო!

418 ბადაგს გრძნობები
გაუნასკვია...
ვეცარგვალები
თავთუხს ბანტიანს!

419 ხოდაბუნების მიღმა
ხრიოკის კვნესა ისმის,
წუთისოფელი ცურავს
არარაობის ნისლში!

420 მაცდურ სირინოზებს
რადგან არა სძინავთ,
ელვამ ალიონზე
ცრემლი მიმოფინა!

421 თავისუფლებას ნატრობს
ზუმბერაზიც, პატარაც...
და ვეწირებით ამ დროს
დავიდარაბის ატანას!

422 სისხლი ბზარავდა
გარუჯულ ქარაფს,
გვიხმობს მარაბდა
მომავლის ფარად!

423 როს წარმოსახვებს
ძალა ადგება,
არ ასცდა სახრე
თავის მართლებას!

424 რადგან არ არის ადვილი
გულის კარის გაღება -
სიტყვა მარცვალაცრილი
სათნოებას ჩახერგავს!

425 აი, რა ქალი
მომწყვიტა თვალი,
მხარზე ფრთამალი,
ენაზე ჭვალი!

426 თავს დამტრიალებს
ეჭვი და ბოღმა,
დრო სატიალე
ჩახერგავს ბორანს!

427 ბუ ეფოფრება
გახრწნილ დილემას,
ქაჯს უსაფრდება
გამოცდილება!

428 როს აღრენილი
ხმები დაირხა,
ხავსს ეჭიდება
მაშინ კაი ყმა!

429 სასწაულების
იმიტომ მჯერა,
რომ ერთგულების
ვაღვივო კერა!

430 როცა გაჭირდება
ყოფის შეგუება,
კაცი განსაცდელებს
აღარ ეპუება!

431 სანამ მოედო
ფრთაზე ალია -
ცეცხლი პეპლისთვის
სანუკვარია!

432 ზოგჯერ უხიაგი გზების ლაბირინთებს,
ჩემდაუნებურად მყისვე ავითვისებ,
ხან კი კუს ნაბიჯი ისე ხანგრძლივდება
ვერსად გავექეცი შურს და გაწბილებას!

433 ხელი ძალუმად
ლაფში ვურიეთ,
წინსვლის მარულა
გვზაფრავს სულიერთ!

434 სწორი მოქმედების
სივრცის განელებით,
მოკვდავს განტევების
ალად ავენთებით!

435 როცა ვერ იგრძენი
რაც რო ვიგულისხმე,
ყოფითი ციფრები
მყოფადს გვიკულისებს!

436 როცა საფრთხეა და
როცა ღალატია -
ზომიერება
სიმშვიდის გარანტია!

437 გაკრთა გაფრენილი
პეპლის მოლანდება,
ჯინით გასენილი
ურვა ორმაგდება!

438 სიხარბეს და უვიცობას
ვერ განკურნავს მხოლოდ გმობა,
საშველს იმკის თავის ცნობა
და ღალატის არ დანდობა!

439 დილის დვრიტა მიწვევს
სათარეშო მოლზე,
ნაიარევ სიზმრებს
ვუსაყდრისებ ცოდვებს!

440 დღის სავალალო თენება
ჩაკვაჭეს ავმა ენებმა,
მოყვასი როცა შემება
სოფელი აღებს დერეფანს!

441 როცა ვიწყე ნერგის დარგვა,
მტერი მაშინ გამიმრავლდა,
წაიგრძელა თავი მახრამ,
ეპოტინა ბრიყვი ჩახმახს!

442 ქარაფმა გამოსცრა ყარიბის
უმწეო ექო და
ამ დილის სიფრიფა ნამიც კი
საცრემლად მეყოფა!

443 რადგან ვერასდროს გავხდები
მამა აბრამის ბატკანი,
კუბოს კარამდე გამყვება
ნაცოდვილარი საგზალი!

444 მივათრევ უფსკრულის პირამდე
ნიღბიან სილაჩრეს,
თავს აბა როგორღა ვიმართლებ
სინდისის წინაშე!

445 ვამჩნევ ბოლო დროს,
რატომღაც,
როს განვერიდე განცხრომას,
სიმწარე იკლებს საგრძნობლად!

446 იმგვარად შეჰყივლა მამალმა
ბუმ კანჭზე იკბინა,
უკუნი ძალუმად აშმაგდა
სიახლის სიმწრიდან!

447 თუ იჭიატა
შემთხვევამ,
გამოცდილების შეძენას
შანსი დროულად ეძლევა!

448 მოკვდავო შეიგნე, მზის ნათზე
იმიტომ ვერ თბები -
ბალაგნის ჩეროში სიხარბემ
გაიდგა ფესვები!

449 აჰა, ვარსკვლავებმაც დაინახეს
ჩვენი სიმარტოვის ხიბლი,
როცა მეყვსეულად გაგვიმართლებს,
ნისლებს მიმოფანტავს ფიქრი!

450 მინელდა შიშხინი ბადაგის
წინაპრის ქვევრიდან,
ღაწვებზე მოედოთ სახადი
გაფხორილ ელიტას!

451 თუ დაეკურთხა მამულს
ერთიანობის ხიბლი,
უსაფრთხოების ქნარი
ხმას სასიკეთოდ იცვლის!

452 ცარგვალზე ჩამოწვა ვარსკვლავი
ღრუბლები ჩაფარცხა,
მთვარემ ძლივს მოთოკა ღანცალი
კოსმიურ საფართან!

453 ოხრად დარჩება მოკვდავს
ის დამარხული განძი,
თუ შეჭირვებულ მოყვასს
ულუფას აღარ აწვდის!

454 ეამა ვენახის ცრემლები
აქოჩრილ ყოჩივარდს,
სამშობლოს თავს შემოვევლები
ნატანჯი სოფლიდან!

455 თუკი კაენი ისევ კაენობს

რის მაქნისია მაშინ გაერო?!

აწ კიდობანი ვეღარ გვიშველის

აინშტაინი გარბის შიშველი!

456 დაეყრდნო მძივი
ქორფა საკინძეს,
შენეულ ტკივილს
გავითავისებ!

457 პირველობისთვის სწრაფვის სურვილი
აღარ ასვენებს დიდს თუ პატარას,
არ გასკდეს გული საპნის ბუშტივით,
არ დავრჩეთ ისევ ჯოხის ამარა!

458 უხიაგს გოლგოთის წინარე
გაუდის ზღართანი,
აგვწაპნა მხუხარე მდინარემ
ანწლების ნარნარი!

459 ეშმა რო ეფაფხურება -
ამ ახირებულ გუნებას
ეშინაურა ცდუნება
და მრწამსი უფასურდება!

460 რამეთუ შემბოჭა ზმანებამ
ვფართხალებ წუმპეში,
ძნელია იმაში ჩახვედრა
ვით ვპოვო ნუგეში!

461 რადგან წამება კაცის ხვედრია,
რადგან სიბრიყვემ ჩაქოლა სიბრძნე,
განწირულს ცრემლებს მოსწმენდს ფერია
და სასწაული ჩასახვას იწყებს!

462 საწუთროს მივსტირი,
მამშვიდებს ღვთის შვილი,
გულღიად მიღიმის
ნაკვერჩხლის პიწკინი!

463 შენელდა ძიების მარულა,
ვისრუტე ბინული,
დანამავს შენეულ სასთუმალს
ეს ძილისპირული!

464 როს მიფლავდა განშტოება -
იცრიცება სასოება,
უშედეგო გაბრძოლება
ეწირება დაბრკოლებას!

465 ო, როგორ უმწეოდ ჩაღამდა,
იალა სანთელმა,
ჯაშუში გისოსებს ჩაბარდა,
წარსულის საკვნესად!

466 თუ ვერ ავკინძავ ორ ანბანს,
თუკი ვერ განვჭვრეტ მომავალს,
თუ არ შევჯორავ ონავარს -
ამაოების მონა ვარ!

467 ვენდე და სილაღით მივყვები
დაგეშილ ქარაშოტს,
ეჰ, კაცი იმითაც ცხონდების
სინდისს თუ დარაჯობს!

468 თუ არ შეგვრჩა მიწის მადლი,
ქარაშოტი საყრდენს გვაცლის,
თუ ყვავილებს არ ვკრეფთ ნაზად,
სათნოება კარებს რაზავს!

469 ჭიატებს გოდოლის სარკმელი
ნაკრძალის გადაღმა,
გზადაგზა ნაკურთხი საკმევლის
სურნელი აკმაზდა!

470 დამეჩვია რადგან მარცხი
თავს სიმშვიდეს აღარ ვაცლი,
ლუკმა ყელზე დამადგება
თუ არ ვჭედე გამარჯვება!

471 ფერიამ ნატყვიარ ხეობას
ცრემლები დასწმინდა,
უფალმა შეგვმატოს მხნეობა
ზნეობის საწინდრად!

472 ორაზროვანი აზრებით
იწრთობა ნიჭი გაძლების,
რადგან სიყვარულს ვეძებდი -
ვედრების ქომაგს ვედრები!

473 მოაწყდა უპოვართ ბანაკი
ჩახერგილ შარაგზებს,
მამულო, დროულად გამაგრდი,
შვილები დარაზმე!

474 გასაწირი სინამდვილე
სისაძაგლეს ისაგზირებს,
ჩაწყვეტია ბოლო ფირებს,
აეწიათ ყური გზირებს!

475 ფერი უცვლია მაცდურს მაცდურად,
ამაოდ ვეძებ ნიღაბს შესაფერს...
და დასასრულის არდასასრულად
ტკივილს ტკივილად გარდავესახე!

476 როცა რო უჯიგრო ბაასის
მინელდა მარულა,
საწუთრო ალიყურს გამაწნის
უსასრულ სასრულად!

477 პეპელა დაეყრდნო თვისივე
დღენაკლულ ვაებას,
ტურა კი კარგახანს იკივლებს
წყვდიადის თავდებად!

478 რადგან გულმა მიწყო რეჩხი
ღირდა თავის შეწუხება,
აწმყო წარსულს ისე ჰყვედრის
მომავალი მემწუთხება!

479 აბა, რა გამოლევს გარეწრებს
ბალაგნის ნანგრევში,
გონების აღრენილ საცეცებს
ჩადრებში ვახვევდით!

480 იმგვარად აშტერა მოკვდავი
თავნება ზმანებამ,
მიბჟირდა წყვდიადში მბორგავი
სიამის ვაება!

481 ღრუბლის ფარდა ახდილია,
მზეს სისხამზე ელიან,
შეყვარება ადვილია,
სიყვარული ძნელია!

482 ეშმა ღრუბლებში წნიდა მარწუხებს,
ნისლი ედება მიუვალ მწვერვალს,
ისიც მაწუხებს რაც არ მაწუხებს,
მარადიული ტკივილი მცელავს!

483 როს უხიაგი ხინჯებით
კულისებს შევეხიზნებით,
დასაშოშმინებ განწყობას
უორჭოფდება განვრცობა!

484 თენდება, ძვირფასო გამოჩნდი,
გული გულს მიებას,
ხელს გვიქნევს აფრები სამოთხის
სათრთოლებ მთიებად!

485 ბელივით ბეჩოსთან ჩაცუცქდა
სხვის ხელში შემყურე,
ნიავი მოცარულ ტაშს უკრავს
ნაღვლიან ბეღურებს!

486 სატანის დამქაშებს ღრუბლები
ტურტლიან ფეხს ბანენ,
მისტიურ სურნელით უძღებნი
ვულკანთან შეხამდნენ!

487 მოკვდავო, თუ გულში ჩაირჩენ
საწადელ ხვაშიადს,
ოცნების შევერცხლილ ხალიჩებს
უშენოდ გაშლიან!

488 დამტუქსა, უმწიკვლო წუთიერ
ნათების ფიგურამ,
რამეთუ საწუთროს ვუთრიე
უკუნი ხილულად!

489 როცა რო გაჯერდა ლაჟვარდი
სისხლიან დროშებით,
წარსულის ზნეობრივ აღმართის
ბილიკებს ვშორდებით!

490 ჩათვლიმათ მთაწმინდის აჩრდილებს
აცრემლდნენ მთიები,
წარსული არ უნდა გაწბილდეს
მომავლის გზირებით!

491 მესვეტეს ემძიმა ღრუბლების
ნაწეწი ნისლები,
უთქმელი სათქმელის უფლების
წინაშე ვფითრდები!

492 ფრიალებს ხვალინდელ ქელეხის
შავტუხა მანტია,
გზაწვრილში საერო ბერები
ხეს ტოტებს აჭრიან!

493 სულეთის საუფლო გვახსენებს
ღირსეულ ზვარაკებს,
ნიმფები ფიფქებში ახვევენ
საფერებ არაკებს!

494 შეშვენით თამამი ნავარდი
ზეციურ სხეულებს,
ლმობიერ გუმანით ვნაბავდი
გაფხორილ სნეულებს!

495 გაშიფრულია
ვნების საცდური
გამიჯდა ჯანში
ალადასტური!

496 დაფრთიანდება
როცა შემთხვევა -
ნაწნავის კემსი
ყელზე მეხვევა!

497 ამერიკამ რო
დენთი დათესა,
რუსეთი ჩაგრავს
სულით ნათესავთშ!

498 აღარც ჩაი და
აღარც ვარდები,
რევოლუცია მოდის
ყანწებით!

499 სააქაო იმედებს
მივეტმასნე ჩინდრიკად,
მიტო არ გამიმეტებ,
რადგან არ გშლი ფიქრიდან!

500 ციმციმი ისე ბარტყობს -
მზის უკვდავების შევსვი,
ჩემს აურაში სახლობს
შენგან ნაფრქვევი ეშხი!

501 ამდენი ვაი - ვიშვიში
კარგს არ უქადის ბედ -იღბალს,
ხელმოცარულებს მგლის შიშით
განწყობა გამოეფიტათ!

502 სატრფოს ძიების პროცესმა
გადააბიჯა ფათერაკს,
ისე ახვნეშდა ოცნება -
იმკის საცდურის ნახელავს!

503 ააფრთიანებს სურნელი
როს სასიამო სურვილს,
თივთიკა აზრი უთქმელი
ეწანწკარება წყურვილს!

504 თუ სივრცეს ჩამოეღვინთა
ოცნების ნაქარ - ბუქარი,
დამაიმედებს შენი ხმა,
სამხარს შეამკობს ნუგბარი!

505 მისთვის ვაკვნესებ
ლერწმის ღეროებს,
რომ განვერიდო
ჩამზრალ ჩეროებს!

506 სიმდაბლე ფორთხვით
რომ ამეტუზა,
შენამდე მოსვლის
აკოჭლდა მუზა!

507 სული ნაგვემია,
პეწი დამელია,
გესლი ნაგემია,
ოხრავს კამელია!

508 ცეცხლი მომინთე
რადგან გუზგუზა,
ველარ მოვითმენ
გვემას ზურგს უკან!

509 ჭანჭიკი როცა
მოეშვა იღბალს,
მიყუჩდა ლოცვა
ცდუნების მიღმა!

510 ჰეი, ქართველო,
მრწამსის დამცველო,
დროა აღზევდე
ცოტნეს ნახმლევზე!

511 სათუთი მზერა
ფიჩხს რო გვრის კერას,
თანხმობა ელავს
სიკეთის მხსნელად!

512 ხმელეთს რო მართავს
მაცდური კასტა,
ვინ დაძრწის ბალთას
ვინ ძოწი ჩაწნა!

513 ყოფით სამოძღვრავს
ყვრიმალს რო კაწრავს,
მხარსაც ჩამოჰკრა
სიფხიზლის ზარმა!

514 უმადურობა
ცალყბად რო სუფრობს,
უხერხულობას
ნაოჭებს უკრთობს!

515 აეკვიატა განთიადს
როს ნამქერების ბუღი,
ვინც ბლომად ურვა იწვნია
შემთხვევითობას უფრთხის!

516 სიკვდილს სიცოცხლესთან
ნიში ჩარჩენია,
უფლის მირონცხება
რჩეულთ სასჯელია!

517 როცა გაეღვიძა სივრცეს
წრფელად იშიფრება მრწამსი,
ჰოდა ის მყოფადი მიმზერს -
სულს რო სათნოებად აწვიმს!

518 როცა ვერ ავცდები
ზვირთის შემოტევას,
ნაპირზე დამცემი
წნეხი მელოდება!

519 იმდენად მიმუხთლა
ნაბიჯის სიმრუდემ,
უხილავ ხილულთან,
დიალოგს ვირთულებ!

520 შორიახლო მივყვები
გამორჩეულ თანდგომას,
პირში წყლის ჩაგუბებით
ხვაშიადი ჩაცომდა!

521 განსჯა სიზმრის
კვებავს ვნებას,
ჭმუნვა კისკისს
ენაცვლება!

522 აყვავდნენ შინდები
იბარტყა პეპელამ,
კურცხლებად ვიცრებით
ერთობის ვედრებად!

523 თვალებბრდღვიალა
რომ არ დავკარგო -
იკოპწიალა
მინდვრის ყაყაჩომ!

524 თავს რო ვერ ვუყრი
წრფელ შემართებას,
ვერ ვშიფრე გულში -
რა მემართება!

525 ჩემი ანგელოზი
ისე მინაბულა,
ციურ გარემოცვის
იქცა პრიამბულად!

526 რადგან სიკეთე
თავქვე დაცურდა,
გადავიკეთე
ფრთები ჩაფხუტად!

527 რომ არ დაგკარგო
ვრჩები მარხულად,
მორცხვი ყაყაჩო
მომესალბუნა!

528 როს უზნეობამ
გამაგულისა,
ვსახე მხნეობად
რიდი უფლისა!

529 როცა მზეწვიობს
ვნების კამარა -
გული ემთხვიოს
სულის დარაბას!

530 ზენა ქარია
გულს რო მიწვრილებს,
სიმწრის არია
გამაციმბირებს!

531 როს უსამართლოდ
საქმე ჩაფლავდა,
ამაოდ ვსარჩლობ
ბედის ვარსკვლავთან!

532 ზეცა გაშავდა,
 გაწვიმდა რისხვა,
 უშნო განგაშმა
 ვერ ისაყდრისა!

533 რაში მჭირდება, რაში
ნახორკლ ზეგანზე ცოცვა,
მკაცრად ვისჯები მაშინ -
როს სასიკეთოდ ვცოდავ!

534 იმ განაწბილებ
წუთებს დავსტირი,
როს მაცოდვილე
საწყის მარტივით!

535 როცა ამაყად
ძნას ძნაზე ვაწყობ,
წლების ბარაქამ
დაჰყეფა აწმყოს!

536 ქალამნის ძირი
უდროოდ გაცვდა,
მოედო ბღილი
სულიერ ფაცხას!

537 მანჭავს სიქუფრე
ღვარძლის მინარეთს,
ძლივს ჩავიმუხლე
საყდრის წინარე!

538 იმ მოლოდინის
იმედად ვრჩები,
როცა რო ჟინის
იტოკებს ფრთები!

539 სიტყვა ისე დავძარი
ვაჟღარუნე ფარ - ხმალი,
ბოჰემური აშარის
მეწილადა ცარგვალი!

540 იმ საზღაურის
ვიწყებ განსაზღვრას -
ბოღმის ზღვაური
სულს რო დაზაფრავს!

541 აურას ერწყმის
ცრემლი მდუღარე
ბეღურებს ფეტვი
მიმოვუყარე!

542 როს ძუ და ხვადი
დაძრწიან კენტად,
უტაქტო ცხადის
დაგმობას ვბედავ!

543 ისე დაჰქრის რუხი ძერა
ვნებამ თარი ააჟღერა,
აელვება ციურ ფერთა
სათნოებას დაეძებდა!

544 როს შიშხათია
გაზაფხულისა,
თავს დაგვნათია
ხატი უფლისა!

545 როს შოშიებმა
გაიწყეს ბუდე,
შვების ძიება
მიადგა ზღუდეს!

546 როს სიმარტოვის
მიფრინავს ჟამი,
ლოცვის ფანტომის
ღიოფო ღნავის!

547 მივაყუროთ ხეთა შრიალს,
საზფხულო ჰამაკს შლიან,
მოფარფატე პეპლის პეწი
ალმურს გვმატებს, ჩატკბა ნერწყვი!

548 ძვალ - რბილში გაჯდა
მრწამსის სიშმაგე,
ცახცახებს მადა
ვნების სიმდაბლედ!

549 როცა მრავალჯერ
მხარი მეცვალა,
სულის ყავარჯენს
მაწვდის მზექალა!

550 წრფელ მონატრების
მწველმა შუქურამ,
უკვდავ დავთრების
დვრიტად იხუვლა!

551 ვერ მიგიხვდი, ვერა
ვერ აგიბი მხარი,
გასაღვივებ კერას
მიებჟუტა კვარი!

552 ვერა და ვერ ავაცურე
სათნოების გემი...
და ქაოსის სასასთუმლე
მარტოხელად ვრჩები!

553 ეტმასნება ლაჟვარდს
აღრენილი ფიქრი,
დაუვიწყარ წყენას
ჩაეფუფქა ჭირხლი!

554 ცა ქუფრით, ყანა ძნით,
მტერს ვუთხრით მარაზმით,
ამ ოხვრის, საძაგლის -
სიმორცხვით დავძმარდი!

555 ვნების იახტის
თუ ერწყმი რხევას,
ცას ფარდას ახდის
გამჭოლი მზერა!

556 უნდა მალ - მალე
მოგინახულო,
რომ არ ჩავღამდე
უსიყვარულოდ!

557 გაყურსულია
ციყვი თავნება,
რჩება წუნია
შმაგ უკარებად!

558 ისე ზეობ რთულ ფერებად,
მეფინები სურნელებად,
თეთრი ვარდის სინარნარე,
სათნოებას იკამკამებს!

559 ღვთაებრივ სინდრომს,
როს შევთხოვ მითოსს,
სხეულმა იგრძნო,
სათქმელის სითბო!

560 იდელვაისოს
ფიქრის დინებამ,
რომ იაისოს
არ გაწბილებამ!

561 ფათერაკებით
შემკულ დაისებს,
თავშეკავებით
მიმოვასხვისებ!

562 დრო და დრო სათუო საკრძალის
განკვეთას ვლამობდი,
აჩრდილებს ცალსახად ვკაწრავდი
გაწალდულ საგმობით!

563 ავულკანდა მეყვსეულად
ფლიდ ამბორის ვარამი,
შეიფერა ღირსეულმა
განსაცდელის წკვარამი!

564 თუ გავიაზრეთ ოდეს,
ვით გადავლახავთ საზღვარს,
განწყობა უნდა ცხონდეს,
შეხმატკბილების არსად!

565 ნუგბარს დაწაფული
ელტვის დიადემას,
უფლის საზღაური
მიხმობს ზიარებად!

566 დაბნეულად ვეჩურჩულე
წინაპართა სულებს,
ბარტყებს ჩრდილში შეყუჟულებს
ცვარი მივაპკურე!

567 მივაყურადე
მწერების სუნთქვას,
კოდალას სახრე
ღრუბელმა თუთქა!

568 არ მოვხარე,
როცა ქედი,
ტლუ კოშმარებს
ვეხეთქები!

569 როცა რო ქვესკნელში მიგვათრევს
გულღრძოთა ვაება,
აცრემლებს ზეციურ მინანქრებს
სათრთოლე ღვთაება!

570 ჩაეცვარა მამულს ცრემლი,
მოეცარა დუშმანს ხელი,
ღირდა გვემა, ღირდა მოცდა,
სულს ემჩნევა უფლის ლოცვა!

571 ისე დაიკვნესა
ხინჯის ჰარმონიამ,
ვნების აისრება
ეშხის გარმონია!

572 ო, ეს ლივლივა
პიარის ფანდი -
ნაცად სიმწრისგან
დახვეწა კადრი!

573 როცა რო განჭვრეტის ფიასკომ
ჭანჭიკი გაჭედა,
არ მიკვირს ბრიყვი რომ გნასობს
ზნეობის სასჯელად!

574 როცა მიმწუხრდნენ
სიბრძნის კვირტები,
სნეულ სიმუხთლეს
ვესამძიმრები!

575 ისე ვეცრემლები
შემცბარ სისასტიკეს,
ღვარძლი შეჩვენების
მხრებზე მივასრისე!

576 როცა იგიჟმაჟებს
მარცხის ახირება,
გესლი დამფრთხალ ქაჯებს
რჩებათ სამხილებად!

577 ო, როგორ მინდა
ვივახშმო შენთან,
როს სული წმინდა
სარეცელს კემსავს!

578 ვნების განშტოება
მრწამსს რო ეახლება,
ამკობს ამ დროებას
პეწი სიახლეთა!

579 ბლუ განტევების
ვაცი გაწბილდა,
სულ საფერები
გვრჩება მთაწმინდა!

580 ისე მასულდგმულებს
შენი სურნელება,
ჩიტებს გასუსულებს
თვალი უცრემლდებათ!

581 საცინცხალე ქარტია
რომ ვერ აკრთობთ ბანტიანთ,
მაშინ ისევ მარტია,
მზე იშუშებს ნატყვიარს!

582 როცა აღმოვჩნდი

უფსკრულის პირას,
ნანატრ სამოთხის
ვიწვნიე დილა!

583 როს მინდა, აწმყოში ვაღვივო
მყოფადის საუნჯე -
სიკვდილის უკვდავი სამყარო
განაჩენს გვაუწყებს!

584 ნაწრთობი საჭრეთლის გარინდვას
ხალისობს მარჯვენა,
ჯიხვის რქა ასწია თამადამ
ბახუსის სახედნად!

585 საგნები იქცა
ნაცარტუტებად,
სიზმარი იშვა
ჩასახუტებლად!

586 ნავსად მომყვება
წუწუნი დღემდე,
წუწკობს მოლხენა
კოინდრის მკერდზე!

587 კოჭებში ჩამცრა
მელანქოლიამ,
სიხარბე კაცთა
გეშავს ფორიაქს!

588 მზის გულზე ნორჩი
ფერია იწვა...
ჰოდა მეც მოვწყდი
ამ ცოდვილ მიწას!

589 მამულის ეშხის
ტვირთი რო ვზიდო,
წინაპრის ფესვით
ვეხვევი მითოსს!

590 საღერღელს ბურღავს
თავკერძა გზირი,
როდემდე უნდა
ვიმტვრიოთ ცხვირი!

591 ძარღვებში სიმწრის
ათქვეფდა სისხლი,
სულიერ წინსვლის
დამჩაყდა ფიქრი!

592 ამ მიწიერ სანეტაროს
თუ მოწყდება კაცი,
თვალწინ უნდა აეფაროს
სილუეტი ჯვარცმის!

593 როცა არ ვიცით
ვიფხიზლოთ რა დროს,
ლაციცი ციმციმ
აბრმავებს აწმყოს!

594 ციკლოპმა შთანთქა
ქარაფის ჩქერი,
მამულს ჩრჩილავდა
ვარამი მწველი!

595 გადამდებია
სულის სახადი,
დემონს ხლებიან
უფლის ნახვამდი!

596 რადგან წარსულის
იარა გვეწვის,
ცქმუტავს ზრდასრული
სიკვდილის პეწი!

597 როს ვერ ჩავცალე
სიმწრის ფიალა,
უთრთის საძვალე
ყუა იარაღს!

598 თუ რამეს თქმა
დაგავიწყდა -
გადაფურცლე
გალაქტიკა!

599 შიშმა გაქარწყლა
მსაჯულთა ფიცი,
მუდრეგ საფართან
ჯალათი იცდის!

600 ჰეი რას მერჩოდი
ჟამო განგებისა,
ციურ ანგელოზის
სითბო გამესხვისა!

601 რადგან ვერ ვეჩვევი
სულის დაკნინებას,
ანცობს საღერღელი
მრწამსის აღტკინებად!

602 როცა ბგერათ კინძვა
ნათლად გამიძნელდა,
სიტყვამ გადამკიდა,
ხილულ სამზნედაც!

603 პირფერობა
ვითარც ღვარძლი -
იწრთობოდა
ბილწის ყბაში!

604 ვნება ანცი
სიკეკლუცეს იფერებს,
მარა მაინც
მოიხელთებს სიბერე!

605 რადგან ჯმუხ მძორებს
კრუნჩხავს მხილება,
კრუხავს საშმორე
განხეთქილება!

606 ნისლებმა ბუღის
არწიეს ნანა,
აეწვა კუდი
გაყვლეფილ ყანას!

607 ჩაქუფრდა წუნის და ხარისხის
მხილების სიობლე,
არადა საწუთრო არ იცდის,
უჯრედს ვერ იოკებს!

608 ისე შორს წამიხვედი,
ეს რისხვის ტოლფასია,
ოი, ეს ქვათა ხედი
ხორციელთ მოგვაცლიან!

609 მოკვდავს ბოღმის ელდამ
ჩასცხო ალმაცერად,
ცივად შეიბერტყა
მხრები სამარხებმა!

610 ბრდღვინავს აღზევებულ
ბრიყვთა სისაძაგლე,
შვება დატყვევებულ
პეპლად ვისადაგე!

611 წლიდან წლამდე ნაფერი
ქვევრს ავხადე სარქველი,
ეჰ, ამდენი ნათრევი -
ერთი ხრიკით ჩავთვერი!

612 სილას მაწნი -
შაქრად ჯანში,
აღვირს ავხსნი
ფაფარაშლილს!

613 ჩრდილავს ედემს
ვერხვი სარო,
უნდა შეგწვდე
 საცინცხალოდ!

614 ღმერთი სტუმრობს
უპოვარის კარავს,
ეგუგუნოს
ზენაარის ძალას!

615 როგორ ძალუმად ვიფერებ
აწკეპილ სიწითლეს,
ქუთუთო აუწვა სიქველეს
სახადის სიფითრემ!

616 რადგან ვუფრთხი მიწიერთ
ბევრჯერ ყურით მიმწიეს,
მოვინდომე რა ქროლვა
მეფიშტონემ ჩამტორა!

617 სასიკეთო სიჭუკჭუკე
ზოგჯერ შავსაც აჩენს თეთრად,
როს ბიბილო უთრთით ჭუკებს
ტურამ დაშნა გამოძერწა!

618 რამეთუ სული
დაგვირბიესო -
კვერთხშემართული
მოდის იესო!

619 ვერ შევიღრინე
წუწკის იერით,
ვერ ვაჭიხვინე
ალღო ცბიერი!

620 ცდომილების დასჯა
როს მიენდო კირჩხიბს,
ორომტრიალს ძაბავს,
საგულქვაო რიტმი!

621 უნდა ვჭექოთ ურმული,
ფხა ავუწყოთ მახვილებს,
გაუწბილდათ ხუშტური
ჩაბჟირებულ ვამპირებს!

622 რომ არ ვუფრთხით
ცის არილში გათქვეფას -
დელგმამ კუდი
წააწყვიტა სახედარს!

623 ამ წუთისოფლის საცრემლისმა
თუ დაგვაოსა,
მოგონებებში იცრიცება
ფიქრი ქაოსად!

624 როცა იფოთლება ვაზი,
როცა ხეივანი მიხმობს,
მხარზე ანგელოზი მაზის,
სულში ჩაიღვრება სითბო!

625 თუ საკეთებლის განშტოება
გაიელვარებს,
უქმად აროდეს ჩაობდება
ფიცი მგზნებარე!

626 როცა ფერია ეხუტება
ედელვაისებს,
შენი სურნელის შეხუნძლება
გაიგაისებს!

627 ახლის ძიებამ გალაქტიკა
რომ მოგვატარა,
ჯინის აურამ დაგვაჩინა
სულში თაკარა!

628 როს ქვეცნობიერ მელამუნა
გენში ქარიზმა,
შეხმატკბილებამ მეყვსეულად
მიმომაფხიზლა!

629 რადგან კავშირი ვერ შევძელი
ღვთის ფაქიზ სულთან,
თავგზააშლილი შემიფარე
მოწყალე თუ ხარ!

630 ნაცოდვილ მიწიერ ზმანების
მოთოკვის შეგრძნება,
წამიერ სულიერ გაყვლეფის
დაძლევას ედრება!

631 როს არ შთენია
გულს გასახარი,
დასანთხევია
სიმწრის არამი!

632 ხარ ისევ ისე წიწკვი,
ვით ვაშლოვანში კენკრა,
ვნების სანთლები იწვის,
ჩიტი ნამცეცებს კენკავს!

633 სულის დამამძიმები
საცოდვილო სახადი,
ისე მომაფხიზლებდა
ვითარც მხატვარს ფასადი!

634 შარას ჩამოეხიდნენ
მელაძუა გზირები,
ციმ - ციმ მიმოიფანტნენ,
საფუძვლიან მხილებით!

635 ელიტ კოლეგია
წუმპის მორევია,
დამფრთხალ ქუდბედიანს
ძილი მორევია!

636 რაც არ უნდა
ვიმოქმედოთ,
სივრცეს ზღუდავს
სიმწრის კრედო!

637 ო, ისე დახატა ავსულმა
მირაჟის სიობლე,
სულიერ სიმწიფის ზრდასრულად
გულს ვეღარ ვიოხებ!

638 ღრუბელს სიშმორის
მოადგა ნერწყვი,
მამულს წინაპრის
ჯიგარი ეწვის!

639 ამაო განსჯა,
არარა შველა,
სინდისის დასჯას
კვერს უკრავს ყველა!

640 ქარი ქარაფს მიაწყდა,
ნისლი თეძოს იშიშვლებს,
მითვალთვალებს ნიადაგ
განდიდების სიბრიყვე!

641 აუთრთოლდა ღაწვები
გულგასენილ განთიადს,
დამტვერილი დავთრების
გამზევრება მადლია!

642 შვებად მესალბუნება
ბინულეთის რაკრაკი,
მიმაცილებს ცდუნება
აუხდენელ ზღაპრამდი!

643 უმძიმს სიფიცხე
გამოცდილებას,
მივაჩინდრიკებ
ბილწის მხილებას!

644 მწამს რო შემინდობს
როცა უფალი -
განსჯის ეპისტოლს
ჭირისუფალი!

645 ამაოების
ნაცადი რისხვა -
მხარზე მოგვების
თილისმას ისვამს!

646 ვერ აცხუნებს
მამულს მთვარე,
ყვლეფს უძღები
არამ ლალებს!

647 უნდობლობის
ჭიაღუამ
ყალიონი
მიაყუდა!

648 გაუცხოების
გათანგულ მზერას,
შეხმატკბილების
ნაკლებად სჯერა!

649 როცა სიზმარი
ნთქავდა იარებს,
მინდვრის სისხამი
ცვარს აპიარებს!

650 გამისასტიკდა
ბეცი თვალები,
ვუფრთხი საფიცარს
ძერის მანერით!

651 ეპკურა კელაპტრებს
ნაკურთხი ცრემლები,
წინაპრის ანანთხევ
ნასახლარს ვემთხვევი!

652 აწრთო განგებამ
გამოცდილება,
ვნება თანხვედრას
ეხმატკბილება!

653 თანადგომა
როს ფარსია,
გაცურების
ტოლფასია!

654 გულმა იწვნია
როს სულის ჯვარცმა,
სისხლმა იყივლა
სამოთხის კართან!

655 მიმოვიქანცე
ამდენი ოხვრით,
ო, ეს სინაზე
სიამეს ცოხნის!

656 გაიყინა გზადაგზა
ჩრდილოეთის პურწყალი,
დენთის ბუღში განზავდა
დასავლეთის კურცხალი!

657 თანხმობის მგმობი
გააფასურებს,
უებრო ნდობის
ალალ დასტურებს!

658 უკუნის სუსხმა
ისე მათრთოლა,
ალალი თუ ხარ -
მიხმე სათრობად!

659 ავეტმასნე
ბუქის ფარდაგს,
ავის მაცნე
უჯრედს ღადრავს!

660 მოკრიახე ქარაშოტი
სისხამს როცა ეცლება,
გატრუნული თანადგომის
ვითავისე შეგრძნება!

661 ლაჟვარდი ძლივსღა რო იმეტებს
აისის ნაპერწკალს,
სიხარბის ავხორხა სიბეცემ
სიკეთე ჩაცენცხლა!

662 როს წარმოჩნდა ბრძოლის ველი
სამომავლო თავდებად,
ეცარება მტარვალს ხელი -
დაგზაშარობს სახედრად!

663 რადგან მარტო ვარ, შენეულ სითბოს
მინდა ვუღვივო ოცნების კერა,
ამ სიყვარულის ქარიზმა მიხმობს
და სასწაულის ახდენის მჯერა!

664 ჩაეძინება
ყვავილებს როცა,
ნისლის დინება
ძვალ - რბილში ცოცავს!

665 საჯილდაო ცრემლები
აცანცხალებს განწყობას,
თავზე შემოგევლებით -
სასულმნათო საწრთობად!

666 აპრილი რო
შემომინთე -
აუჭრელდათ
ლოყა ტიტრებს!

667 როს საარწივე
მიხმობს ცარგვალი,
სულს დავაწიე
გულის ფანცქალი!

668 ცოდვის ყლორტები
იწრთო ხუნდებად,
ღვარძლის ფლოქვები
ათქარუნდება!

669 სხივს ვეღარ აწვდის
ტატნობს პირიმზე,
ციყვებმა მაჩვი
გააქილიკეს!

670 არ დააყოვნო დიაცო,
ნუ დანებდები ფიასკოს,
დროზე მიხედე სასთუმალს -
თორე ჟამთასვლა გაგვწურავს!

671 განწყობა ქველი
სამწყსოს დარაჯობს,
ჩამკიდე ხელი
მივყვეთ ქარაშოტს!

672 ნისლებში მყარად რო არა ჩანს
ნათელი წერტილი,
მოკვდავი უპოველ სალაფავს
ნიადაგ შესტირის!

673 რომ ვერ ვუგანეთ
შენიღბულ ქომაგს -
ნაწრთობ მსუნაგებს
მიეცით ფორა!

674 იჭრიჭინა სასიამო
კბილის აკაწკაწებამ,
ჩანგი უნდა ვაფრთიანო
სულის საკასკასებლად!

675 ო, სათნოებავ
წაქცეული როცა მიხილო -
არის ცხონება -
ამიწითლო ყურის ბიბილო!

676 შევცბუნდი რადგან
უზნეობამ ისე დამჩქლითა,
სამოთხის კართან
ვისაკლისე ჯვარცმის ატვირთვა!

677 უკან დახევას
რომ არ ვაპირებ,
გზების ჩახერგვა
ზაფრავს ვამპირებს!

678 ფლიდი სამიზნე
საფარში რჩება,
ვერ ვუსაყდრისე
გასაწირ შვებას!

679 როს იფხორება
ვადადარია,
ხრიკი წვალების
ნასუფრალია!

680 ო, როგორ გაწბილდა სამზეოს
გულღია განწყობა,
დროა, რომ ურმულმა დასჭექოს
უპოვართ საწრთობად!

681 იმგვარად მომრავლდა უსიერ
მომხვდურთა ფარფაში,
დაბდურა ანშლაგი მუსირებს
ეროვნულ ნაკრძალში!

682 ვერ განვერიდე
ჭინკების აღლუმს,
ბრიყვი ფეხს მიდებს,
ვემხობი თავთუხს!

683 აედევნა
მთვარე ტატნობს,
სიხმატკბილეს
დავეწაფოთ!

684 თავს მახსენებს
სიჭაბუკე -
აურაზე
მიკაკუნებს!

685 ყბედი არსთა განმრიგე
ნუგბარს ფარსად არიგებს,
აღტკინებამ სიფრიფამ
თავში სნება ითქვლიფა!

686 არამიწიერ ფერთა სიუხვე
 მოკირწყლულ წყლების თაიგულია,
ფასკუნჯი ზვერავს როცა ჯიუხებს -
ნიმფები კეკლუც დავლურს უვლიან!

687 ისე გამძაფრდა ციაგი ტახტის
 ჰაეროვანი თრთის სულის ქნარი,
 ეს დიადემა ქალასაც ამხდის -
 თუ არ მივნაბე მესამე თვალი!

688 რადგან მეყვსეულად მოიღრუბლა
 ნამჯას საბძელისკენ მივათრევ,
ეშმას მიუშვირა თოფის ლულა,
ჩემი უკუნეთის სინათლემ!

689 დახვეწილ წარმოსახვაში
 მზე რომ სწყურიათ ყვავილებს,
 დოქი ავავსე მარანში
 და უნდა გაგიმასპინძლდეთ!

690 თრთის ბუნებრივი თვლემა,
 ხნულში ღვივდება თესლი,
კუდწაწყვეტილმა გველმა
ქვას მიანთხია გესლი!

691 ხმა ვერ ავუბი
ღვთიურ მოძახილს,
მძლავრობს აუგი -
ბოლო ცოდვამდი!

692 ყისმათს იმდუღრავს
არსი მიმნდობი,
ვერ განიკურნა
შიშის სინდრომი!

693 მტეხავს ნაწვალებ
აზრის ხინჯები,
კეკლუც შავ თვალებს
მივეფიცხები!

694 ქარმა ახვეტა
ალერსის სითბო
ლოცვის თანხვედრად
შენდობას ვითხოვ!

695 დემონი ულვაშს იგრეხს
დანაოჭებულ ცაზე,
ჭინკა დაეყრდნო სიზმრებს
და წამოსკუპდა სარზე!

696 საჭირბოროტო საკითხს
გონება რო ვერ ხარშავს,
გაქსუებული ფარსი
ეტორღიალა დაშნას!

697 გეზად ჩამოსცრის
ზეცის თარაზო -
უტყვი სამოთხის
მეტყველ ავგაროზს!

698 რადგან არასდროს ფარხმალს არ დავყრი
დასაშვებია - გული გამისკდეს,
ვერ ვითავისე ნავსი სარკაზმის,
ვერ მიმოვბანე ცრემლით სალი კლდე!

699 ჩამმდუღრავს ვინძლო - მსწრაფლ მთუთქავ გზნების
ცად აკინძული სხივი ეროსის -
ჩავიძირები ამ უფსკრულეთის
მწველ განშტოების ჰემისფეროში!

700 ქაოსის რისხვა ისე დათრგუნავს,
და ააშფოთებს ცოდვილ ათასებს,
ობდება აზრი, იხრწნება სუნთქვა
ბუღი გარემოს გადააფასებს!

701 ძაღლუმადურად მივათრევ
ამ წუთისოფლის ჭაპანს,
ჭაობში ხოხავს სიმართლე
ღვარძლი სიმშვიდეს ხაპავს!

702 ამ სიახლეთა სასოება
თუ დაგვაპურებს,
მწედ მიმოისხამს სათნოება
თვის კერძს საცდურებს!

703 მიწყივ ყოველთა შეჭირვების
ფაცი - ფაცური,
არის ბჭოება განივთების
არ დასასრულის!

704 რადგან შენი ვარ
თხემით ტერფამდე -
სითბოს მალი - მალ
უნდა კვესავდე!

705 ალღომ როცა ისრუტა
საჭოჭმანო სურნელი,
ეშმა ქეჩოს იპუტავს,
ოხრავს შვილი უძღები!

706 სად არ მიმაცოდვილებს
საგიჟმაჟე ნაბიჯი,
სამსალა რო მოვხვრიპე
უხმაუროდ ჩავბჟირდი!

707 ვერ ვაგვირისტებთ
ზნეობრივ პათოსს,
ამ ნასირისტებთ
სწორედ ეს აწყობთ!

708 მკათათვის ბექობს
არ ასცდა ცოხნა,
ვიღაცა ყბედობს,
ძნა ცეცქვა ზოგმა!

709 ნაკორტნი ყანა
თხუნელამ მოსრა,
სიშიშვლეს ძმარავს
თანხვედრი ოხვრა!

710 ბუ ცისმარე
სივრცეს თათხავს,
ვერ ვიკმარე
ერთი კათხა!

711 საჩოთიროდ
მიხმობს ქნრი,
აჩუ ვირო
დაუკარით!

712 თვალები ალმაცებრ ნამკვირცხლი
რომ იკურკურება -
წამიერ გაკვესა ძვალ - რბილში
საამო ცდუნებამ!

713 ცას მოწყვეტია საუფლისო
სხივი თანმდევი,
მაგ სიმარტოვეს ავუწითლო
უნდა ღაწვები!

714 ყოველ ცისმარე როს გამშვენებ
წრფელ ნეტარებით,
ტრამალს მომიხნავს სანაშენედ
ჭაპან - კავები!

715 ფარულ ოცნების საგანძური
მოგანდე რადგან,
ნუ გაოცდები, სინანული
შეამკობს ფაცხას!

716 იკვირტება ხეობა,
მოსახდენი მოხდება...
და განგების ზეობა
ითავთუხებს ცხონებად!

717 ამ წუთისოფლის ქარტეხილმა
გამრიყა მარტო,
წურწური ოფლის განკვესილა
სულიერ საზრდოდ!

718 ა, შევიფერე - ამ გულში რო
ცეცხლი დაანთე,
ისე ვიმღერებ - აეკვირტოს
პეწი ბარათებს!

719 ძლივსღა გაწვიმდა, ვამპირები
ტბორებს ხაპავენ,
ასე ადვილად ვერ ავცდები
ამ სისაძაგლეს!

720 რადგან წყურვილი ავაჩქეფე
მშფოთვარე ვერხვის,
შენი სურვილის სანაკვერჩხლე
ხვაშიადს ვერწყმი!

721 ვუახლოვდები
უკვე იმ სივრცეს,
როს საფერები
განწყობა მიმზერს!

722 ხიბლის მიმოზებს
უთრთის ღაწვები,
ჰოდა სიმორცხვეს
ავესანთლები!

723 მოგანათებს როცა
ღვთაებრივი სხივი,
საყოყმანო მოცდა
სასიკეთოდ ღვივის!

724 შენს სარკმლის წინ მერცხალს
მოუწყვია ბუდე,
ვნებამ უნდა შეგძრას,
რომ გადმოსცდე ზღუდეს!

725 გიახლოვდები, იხვეწება
გაფურჩქვნის მადა,
ნუ გაოცდები, მიტევება
სასთუმალს ქარგავს!

726 შენამდე ნათლად ისხლიტება
სხივი აზრების,
ქარაფის რღვევად იცრიცება
ზღუდე საზღვრების!

727 ამდენ საზრუნავს არ აწყენდა
ჩერო ნავესის,
ხილვამ მარგუნა აღმაფრენა
უზესთაესი!

728 მზე დაიწურა, ა, ზედაშეც
ჯამში იალებს...
და ძველმოდურად
ვაახლებდი სულის იარებს!

729 როს მიმოვაბნევ ამ სიმუხთლით
განცდილ ტკივილებს,
ცრემლს შევაჯერებ განთიადის
მლოცველ გვირილებს!

730 განკვეთის ხინჯის აღტკინება
თავს დამტრიალებს,
ფაფხური სიმწრის ცამ ინება
ჩემს სატიალედ!

731 თუ დროს სიცხადე არ სურს
მიჩუტულია კერა...
როცა შეიგრძნობ მამულს
ყივჩაღს დაუფრთხობ მერანს!

732 გავცქერი ქედებს, განშტოება
ერწყმის საფირონს,
ჩვენ ერთად შევძლებთ სათნოება
რომ დავამკვიდროთ!

733 წიკწიკებს ნიხრი, ჩაიცხრილა
ღამის ფიასკო,
მაშხალებს ვისვრი, ჯუნგლისპირა
გზას რო მივაგნო!

734 ვითარც ქორბუდა, გაყურსული
ტრამალს გავცქერი,
ჰოდა მომწყურდა, ასნთლული
სულის ნამქერი!

735 ოცნებებს ქნარი, საჯიუტო
განწყობას უქებს,
დაუდგათ ჟამი უსათუო
თანხვედრის წუთებს!

736 უებრო ღიმილს მოუმწიფდა
ღიმილი მტრედის,
სიზმარი ყივის, ჩამომდინდა
სისხამის ცრემლი!

737 როს უნებლიე სიმსუბუქე
გაგულიანებს,
დე იჯეჯილე, ისათუთე
იბაფთიანე!

738 რადგან ცხოვრება ცრუ სიზმარია,
დაბურულია სულის მანტია...
იმ სიძულვილის მონა ვიყავი,
ეს სიყვარული არ მეპატია!

739 როს საძრახისი
თავს შემახსენებს,
მწყრალად გადვიხსნი
სულის საფენებს!

740 ეეჭიდები
ცდუნებას როცა -
გააჯირითებ
შარაზე კოშმარს!

741 სიყვარულს
რო იფერებ,
ვერას გაკლებს
სიბერე!

742 ო, როგორ მინდა
რჩეულო ჩემო,
რომ თანაგრძნობის
შევიგრძნო გემო!

743 გააღვიძე
შენში ქრისტე,
სათნოება
გაასხვისე!

744 ისე აღუღუნდა კერა
ლამის აფირუზდეს ჭერი,
შენი სიყვარულის მჯერა
შდილის სულთათანას ვმღერი!

745 განუსაზღვრელი ეშხი
ჩამოეფინა ტატნობს,
სიამტკბილობის შევსვით
და სიერთგულე გვათბობს!

746 ნაღვლიანად
ჩაცინებას,
ცრემლის თქორი
არ სცილდება!

747 როს იშლება ცხვრების ფარა
აყმუვლდება მგლები,
ქარაფს შეიქმს მხუთავ ლავად
ვულკანური ძვრები!

748 ეს უცაბედი
ქარიშხლის სუსხი,
ცქმუტს კუნაპეტი
ქაოსის კუდით!

749 თუკი სიკეთეს
არსიდან ელი,
გამოიმზევრებს
ნათვლემი გველი!

750 როს პაექრობენ
ცოდვა და მადლი,
გაყურსულია
კაეშნის ლანდი!

751 ლამაზ ნიღაბით
რომ ვკეკლუცობ უფსკრულის პირას,
მუზების მეფე საგალობლის
გასაღებს ქლიბავს!

752 რადგან ამაოდ ვეჯიბრები
უკვდავ აშუღებს,
საერთო ტკივილს
ქვეცნობიერ მიმოვაშუქებ!

753 რადგან საწუთრომ თვალს მოსწყვიტა
თვისი კარეტა,
მისაწვდომ სივრცეს
ცისარტყელად უნდა ავეკრა!

754 რადგან სული სამსჯავროზე
უღიმღამოდ მიჰქრის,
გადალეკავს უდაბნოებს
ოკეანის ზვირთი!

755 ტალღამ გათელა
მზის ნაფეხური,
მიმოიხაზა
ბატიფეხური!

756 თუ ნიხრი არ ჩაცვეთია
მაგ უებრო ღიმილს,
იშვიათი ნაპწკენია
სიყვარულის ჰიმნის!

757 როს გამოვიხმე თვით სულები
უკვდავებისა,
თრთის საჩოთირე დაბდურები
მზის სამწუხრისად!

758 ო, ეს აბზუება
თუ გინდ მხოლოდ ცხვირის,
ისე გაქსუვდება -
ვითარც ტლუ თახსირი!

759 როცა ახირების
დაძრწის სამხილები,
ვნებას მორევია
ჭუჭყის მორევია!

760 უფალო რადგან
მაფრთხილებ ასე,
შენდობის ზღვართან
გიელვებ სანთელს!

761 ო, ეს ქედმაღლობა
როგორ გვაცოდვილებს,
ღვარცოფს შეაკვდება
სხივა საჩოთირე!

762 ამ გაქსუებულ უკუნეთში
როს გზა ამებნა,
სულის მაშხალა მიკიაფა
დიდმა სამებამ!

763 ისე წამოვეგე ანკესს,
როგორც გათოშილი თევზი,
მხარზე ცოდვის ჭვალა მაწევს
ჟამი ნაცარტუტებს მესვრის!

764 როცა ჩაგითრევს
ჭაობის ხიბლი,
რისხვის სამიზნე
ცთომილებს ითვლის!

765 სასუფეველი
ისე მორთულა -
არ შეიმჩნევა
უფლის კოშკურა!

766 თვალები როცა
მშველელს დაეძებს,
სიზმარში კოცნა
ათბობს სარეცელს!

767 რადგან მაცდური ძალა
ველარ ჩაგითრევს ადვილად,
ხორცის სიგვემე კმარა,
სულს სამზეოზე გაიტან!

768 ყოფით ნათუთქი კუნძზე მივეგდე,
დაცვარულია მოლი ხასხასა,
ეჰ, იეჰოვამ ზეცის სიკეთე
სივრცის არხილულ გარსში ჩასანთლა!

769 ნაბახუსევზე ვეპოტინე
აზრის გასაღებს,
ქვეცნობიერის შემომწირე
ვსახე სახატედ!

770 ჯურღმულეთის შადრევანს
დაუვსია კერია...
ცისკენ გზები მაჩვენა
მადლმოსილმა ფერიამ!

771 თავს ამ მოვუხრი საპიარედ
გაწრთვნილ ქიმერას,
გამგებამ ჯიქურ ხეტიალი
გამომიწერა!

772 ტოტიდან ტოტზე რომ გავჭიმო
სხივის სიმები,
სულის მესტვირეს ბერმუხასთან
ვეპატიჟები!

773 ეჰ, შინაგანად რა მძაფრად ავობს
დახშული სივრცის საგანთა არსი,
გზააბნეული მოკვდავის გამო
არხილულია სამყაროს გარსი!

774 წარსულის ბრჭყალებს
როს ვერ იცილებ,
ძლივს რაზავს კარებს
სულის სიცივე.

775 სიზმარში ავსულს რო შევები
ხვალინდელ საავდროდ,
ღამურა უკუნის მწერების
გალიას დარაჯობს!

776 ცხარობს სიმარჯვის განზომილება
და განრიდება დასჩემდა მოკვდავს,
რადგან მიკნავლდა განსჯის მხილება,
გზააბნეული მყისიერ სცოდავს!

777 განიცდის სიცოცხლის სიშორეს
თვალბასრი მერკური,
ქალწული მეზობლის ვაჟბატონს
დროებით ემდურის!

778 ბრბო გასასტიკდა, მალე
გადითქარუნებს ტრამალს...
აწმყო უნიღბო სახეს
საგულდაგულოდ მალავს.

779 არავინ არ ვიცით მოგზაურებს
სად რა მოგველის,
სად დაგვაცურებს უნიებლიედ
ქვა და ღორღები!

780 მიმოცხრილულად დიადემის
შავი ფარდები,
ამ ქაოსიდან უეჭველად
ავიბარგები!

781 მოჩვენებით ერთობას
გაუხუნდა კადრი,
აღარ მიჭირს შეცნობა
ვირეშმაკას ფანდის!

პაპუნა ქვარიანი

ნაკვერჩხლის პიწკინი

გამომცემლობა „ივერიონი“
მის: თბილისი, კოსტავას 6
info@iverioni.com.ge